# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 10 თებერვალი 2005 №28 (2351) ფასი 50 თეთრი



თქვენი ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

4



ჯერ დანიშნეს, მერე გაარჩიეს

ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა

6



ავტორბოლა

F1 სამეფო რბოლების ლეგენდა 5

ჯეკ ბრებემი

14

# პირველად მეასედ იყო ლიტვა



1:0

## მოჭიდავეებმა სააკაშვილისკენ გაიწიეს



მუხრან ვახტანგაძე

საჭიდაო წრეებში არ ცხრება ამ რამდენიმე დღის წინ აგორებული სკანდალი. ნაკრების მწვრთნელ ბეგი დარჩიას მოხსნით უკმაყოფილო ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები ძველი თავკაცის აღდგენის მოთხოვნით გაიფიცნენ და ახალ მწვრთნელ კობა ჭიჭეიშვილს ბაკურიანის შეკრებაზე არ წაჰყვნენ. ახლა ისინი, კერძოდ კი მსოფლიოს ჩემპიონები მუხრან ვახტანგაძე და დავით კვირკველია, ამ მოთხოვნის მიხედვით სააკაშვილამდე მიტანას აპირებენ და თუ ამ ნაბიჯმაც ვერ გამოიღო შედეგი, საქართველოდან წასვლით იმუქრებიან. „ბიჭები ხვალ 11 საათზე ვიკრიბებით და დარწმუნებული ვარ, ჩვენს მოთხოვნას ნაკრების სხვა წევრებიც შემოუერთდებიან“ — განაცხადა გუშინ მუხრან ვახტანგაძემ.



დავით კვირკველია

თბილისი. 9 თებერვალი. 19 საათი. ლოკომოტივი. 2 000 (ტევადობა 25 600)

## საქართველო 1:0 ლიტვა

1:0 აშვეთია (57)

**საქართველო:** ლომაია, მჟავანაძე (შაშიაშვილი 46), სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კვირკველია (კვარაცხელია 46), ამისულაშვილი, გოგუა (ოდიკაძე 76), ასათიანი (გოგობერიშვილი 70), ქინქლაძე, ჯაკობია (გიგიაძე 46), აშვეთია
*სათადარიგო:* დევაძე
**მწვრთნელი:** ალენ ჟირესი

**ლიტვა:** კარცემარსკასი, შემბერასი (იანკაუსკასი 76), სტანკიავიჩუსი, ბარასა, სკერლა, ჟვირგჟდაუსკასი (ლუტაუსკასი 87), სკარბალიუსი, ე. ჩესნაუსკისი, გედგაუდასი (კიცისი 56), დ. ჩესნაუსკისი, პოშკუსი (რაძინევიჩუსი 42)
*სათადარიგონი:* ადომაიტისი, ტილგაიკასი, ვენციავიჩუსი
**მწვრთნელი:** ალგიმანტას ლიუბინსკასი

**გაფრთხილება:** გოგუა (36), ე. ჩესნაუსკისი (38)

**განდევნა:** სტანკიავიჩუსი (38)

**მსაჯები:** ზ. გადიევი; ა. ალაკბაროვი, ი. ალიევი (სამივე აზერბაიჯანი); ლ. კვარაცხელია (საქართველო)

**დელეგატი:** ა. მილჩენკო (საქართველო)



მატჩის ერთადერთი გოლი მიხეილ აშვეთიამ გაიტანა

ბადრი კეთილაძის ფოტოები



ქართველებმა ლიტველთა კარი საგოლე მომენტებით აიკლეს

# ამხანაგი ჟირესის პირველი გამარჯვება

კობა ინასარიძე

**ალენ ჟირესის** ხელში საქართველოს ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი მოიგო. მოიგო კარგი, ნორმალური თამაშით და ექსპერიმენტული შემადგენლობით, თან მოუგო ლიტვას, ნაკრებს, რომელიც თბილისში ყველა საუკეთესო ფეხბურთელით ჩამოვიდა და აშკარად ეტყობა, რომ ტაქტიკურად განსწავლული გუნდია. ყოველივე ეს კი კვლავაც ოპტიმიზმის საბაბს გვაძლევს და გვაიმედებს, რომ მარტის ბოლოს ბერძნებთან და თურქებთან ჩვენები კიდევ უფრო კარგები იქნებიან.

...სანახაობრივი თვალსაზრისით პირველი ტაიმი დიდი ვერაფერი ბედენა იყო. საქართველოს ნაკრები, ჟირესმა როგორც მიგვაჩვია, ისევ დაცვიდან თამაშობდა, თუმც საგოლე მომენტებს მეტოქეზე ხშირად ჰქმნიდა და უფრო მწვავედაც უტევდა. საწყის ათ წუთში ასათიანმა ორჯერ დაურტყა ლიტველთა მეკარეს, მოგვიანებით აშვეთიასა და ჯაკობიასაც მიეცათ გატანის შანსი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ლომაიას კარს კი ლიტვა ერთხელ დაემუქრა, სკერლამ დაარტყა. ამასობაში, ერთი შეხედვით, თამაში აირია, იმატა ტექნიკურმა წუნმა და უხეშობამ. მჟავანაძე ზედიზედ ოთხჯერ დაეჯარიმდა ლიტველ ჰავბეკებზე და აზერბაიჯანელი მსაჯი ცოტა მკაცრი რომ ყოფილიყო, ეს ამბავი ჩვენი ნაკრებისთვის კარგად არ დამთავრდებოდა. ალბათ, ჟირესმაც შეატყო, ქართველების მარჯვენაფლანგელ მცველს მოჭარბებული ენერგია რომ ჰქონდა და აკი შესვენებაზე შეცვალა კიდეც. თუმც იქამდე არბიტრმა ლიტველთა ასევე მარჯვენა მცველი დაითხოვა მოედნიდან: სტანკიავიჩუსმა, ქართველმა ბიჭ-ბუჭობამ გუნდების სროლით რომ აიკლო, ჯაკობიას ლამის ფეხი წააცალა და კიდევაც დაუყოვნებლივ გააგდო. იმდენად აშკარა იყო წესების დარღვევა, სტუმრებს მსაჯის გადაწყვეტილება არც გაუპროტესტებიათ. ეს ამბავი ტაიმის ბოლოსკენ მოხდა და დარჩენილ შვიდ წუთში ჩვენებმა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება ველარ მოასწრეს.

შესვენებაზე კი ჟირესმა სამი შეცვლა გააკეთა, მცველები და თავდამსხმელი ჯაკობია შეცვალა. პირველი რეალური საგოლე მომენტებიც ლიტველთა კართან თამაშის განახლებისთანავე შეიქმნა. ჯერ „ქუთაისური" კომბინაცია იყო, ასათიანის ჩაწოდებული გიგიაძემ თავით აშვეთიასკენ გააგრძელა, ბურთს მანაც თავი მიაყოლა, მაგრამ კარცემარსკასმა საწყაულებრივად მოიგერია. კუთხური ქინქლაძემ ჩააწოდა, ...... შორეული კუთხისკენ დაარტყა, ძელთან კი ბედად ბარასა აღმოჩნდა და ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

ჩვენების უპირატესობა ნელ-ნელა გამოიკვეთა, რაც მალე შედეგზეც აისახა: ასათიანის ჩინებულ პასს მეკარისა და მცველების ზურგსუკან აშვეთია დახვდა და გაიტანა. სათქმელია, რომ სწორედ ამ ეპიზოდში აშკარად გამოჩნდა ლიტველთა კაცნაკლულობა. თუმც ამით ქართველი ფეხბურთელების გარჯის დაკნინება არასწორი იქნება.

ანგარიში გაიხსნა და თამაშის სანახაობრივი მხარეც გამოსწორდა. საქართველოს ნაკრებს თავდაჯერება შეემატა, თამაშს კი ეშხი. მომენტებზე ბევრს აღარ ვიტყვით, ჩვენებმა აიკლეს ლიტველთა მეკარე, მაგრამ მეორედ ველარ გაიტანეს. ბარასა კარცემარსკასს მხსნელად მეორედაც მოევლინა, როცა აშვეთიას დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა, თავად კარცემარსკასი კი ისეთი დაბნეული იყო, ერთ ეპიზოდში გიგიაძეს კარის სიახლოვეს ჩააბარა ბურთი, თითქოს უთხრა, აჰა და გაიტანეო. სამწუხაროდ, ჩვენებმა მეტი ველარ შეძლეს, თუმც რაც მოახერხეს, ისიც საკმარისი გამოდგა.

ალენ ჟირესმა მერე ორი შეცვლაც გააკეთა და მეკარე დევაძის გარდა ყველა სათადარიგო ათამაშა. ლიტვასთან სამი დებიუტანტიც ვიხილეთ — გოგუა, გიგიაძე, ოდიკაძე — და ვფიქრობ, ამითაც კმაყოფილები უნდა ვიყოთ. ოდიკაძემ თუ სულ 15 წუთი ითამაშა და მისი თამაშის შეფასება ძნელია, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს გოგუამ და გიგიაძემ. ისინი, ვიდრე მოედანს და მეტოქეს გაუშინაურდებოდნენ, ცოტას კი ნერვიულობდნენ, მაგრამ დაძაბულობა ნელ-ნელა მოეხსნათ და ვინძლო, გუშინდელი მატჩის მერე ჟირესმა მათ თვალი აღარც მოაშოროს.

გავთამამდები და ერთსაც ვიტყვი, უფრო სწორად, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას ნამატჩევს ნათქვამს გავიმეორებ: ნაკრებში ქინქლაძე დაბრუნდა. ფეხბურთელი, ვინც ადრე თამაშებს მარტო იგებდა, გუშინ უფრო სხვანაირი, უფრო რაციონალურად მოთამაშე გვეჩვენა და ისიც აშკარად იგრძნობოდა, რომ დღითიდღე ის კიდევ მოუმატებს. და რაც მთავარია, ქინქლაძის თამაშით ალენ ჟირესიც კმაყოფილი დარჩა.

სხვა კი რა ვთქვათ. ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩატარებული ამხანაგური მატჩის შემდეგ რაიმე დასკვნების გაკეთება გადაჭარბებული იქნება. სინამდვილეში რა გუნდი გვყავს, რისი მაქნისი, მარტის ბოლოს გამოჩნდება.

— კმაყოფილი ვარ. ამ მატჩის შემდეგ ჩემთვის ბევრი რამ ნათელი გახდა და რამდენიმე ფეხბურთელის შესაძლებლობებში დავრწმუნდი. ეს თამაში ბერძნებთან და თურქებთან მატჩების წინ ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო — თქვა ალენ ჟირესმა და მერე მცირე დოზით კომპლიმენტები ლიტველებსაც უთხრა.



ლიტველთა მეკარის გიდრუნას კარცემარსკასის ნახტომი ამაო გამოდგა

თბილისი. 9 თებერვალი. 15 საათი. ეროვნული. 3 000 (ტევადობა 70 900)

## საქართველო U21 1:0 ლიტვა U21

10 გურული (54მ)

| | |
|---|---|
| საქართველო U21: შეყრილაძე, ჭილლაძე (გიგაური 90), ლვინიანიძე, ჩიკვილაძე, მ. ლომიძე, გუნაძე (მიქიაშვილი 76), კანკავა, კაციტაძე (მქარაშვილი 24), ხოჯავა (ცანუგრავა 88), გურული (გ. ნოდ. ჭილიძე 82), ს. იაშვილი (ბ. გოცირიძე 90) *სათადარიგო: რევიშვილი* მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა | ლიტვა U21: მალინაუსკასი, ბაგუჟისი (სტანჩოტისი 46), მაიუსი, კაზლაუსკასი (პოვილასი 81), სკორბლასი, იგაშკევიჩუსი (კავალიუსკასი 46), რიმკევიჩუსი, მიკოლიუნასი, ნავიკასი, პანკა (ვირიუსი 71), შერნასი (ვიტაუტასი 38) *სათადარიგო: კილიუნასი* მწვრთნელი: ვიტალიუს სტანკევიჩიუსი |

გაფრთხილება: ბაგუჟისი (14), ნავიკასი (38), ვიტაუტასი (62)

მსაჯები: ლ. სილაგავა; გ. დოგრაშვილი; ა. ნონიკაშვილი; გ. გადაჭკორია

დელეგატი: ო. გუნთაძე



სანდრო გურულის გამარჯვების გოლი

# იაშვილმა რეინჯერსი დაგვანახა

## ერთმა სანდრომ მოინადირა, მეორე სანდრომ გაიტანა

ილია ნანობაშვილი

**ნამატჩევს** ქართველი ახალგაზრდების თავკაცმა გოჩა ტყებუჩავამ სანდრო იაშვილის გარჯა მოიწონა, მოხარული ვარ, რომ მან ხუთიანზე შეასრულა ჩემი დავალებებიო. იაშვილის თამაშის შეფასებას მწვრთნელის მახვილი თვალი არც სჭირდებოდა, ის გუშინ საუკეთესო იყო მინდორზე და აკი სიქაც გააცალა ლიტველ მცველებს. ჯერ მარტო მისი მონადირებული პენალტი რად ღირს — სანდრომ თითქმის დაკარგული ბურთი მოიხელთა, კავალიუსკასს ჩაუქროლა და მეკარე მალინაუსკასს პენალტი გამოსტყუა. იაშვილის სეხნია გურულს 11 მეტრიდან ნერვი არ შეტოკებია და სწორედ ამ ერთადერთი გოლით მოვიგეთ.

არადა, რეალურად თუ იფიქრებდი, ჩვენებს ლიტველი თანატოლების დამარცხება ძალიან უნდა გასჭირვებოდათ. ტყებუჩავამ თამაშამდე ერთი დღით ადრე ძლივს შემოიკრიბა 18 კაცი, თანაც შემადგენლობა ძალიან შორს იყო ოპტიმალურისგან. ქართველთა დამრიგებელმა კლასიკური 4-4-2 სისტემა აირჩია: მეკარე შეყრილაძეს მარჯვნივ-მარცხნივ ჭილლაძე-ლომიძე, ცენტრში კი ლვინიანიძე-ჩიკვილაძე იცავდნენ. ნახევარდაცვის საყრდენებად კანკავა და კაციტაძე გამწესდნენ, მარცხენა ფლანგი გეწამეს ეკავა, მარჯვნიდან კი ხოჯავა ანაწილებდა პასებს. თავდასხმაში ოდნავ სიღრმიდან გურული მოქმედებდა, „შუბის წვერად" კი იაშვილი ტრიალებდა.

თავიდანვე ვთქვათ, რომ ჩვენს მცველებს დიდი ჯაფა არ დასდგომიათ, ლიტველები ძალიან უფხოდ თამაშობდნენ შეტევაში და ქართველთა ნახევარზეც კი ზლაზვნით გადმოდიოდნენ. მატჩი ხეირიანად არც იყო დაწყებული, რომ იაშვილს უკვე ორჯერ ჰქონდა მეტოქის კარში დარტყმული, თუმც პირველი ნაღდი გასატანი „გლაზგო რეინჯერსის" თვალდადგმულ ფორვარდს ტაიმის შუაწელს შეექმნა, როდესაც ხოჯავას დაფარული პასით მეკარესთან მარტო დარჩა და დარტყმა გაუცუდდა. ორიოდ წუთში სანდრო კვლავ შეეფრინდა დასარტყმელად, მაგრამ მალინაუსკასმა ფეხით მოიგერია ბურთი. ტაიმის მიწურულს შეტევაში პირველად ჩართულ მათე ლვინიანიძესაც შეეძლო გატანა, მაგრამ უხეირო მინდორმა დაალალატა და ლონივრად ვერ დაარტყა.

და რას აკეთებდნენ სტუმრები? მოედნის ცენტრს აშკარად აგებდნენ, მაქსიმუმ სამ შეხებას თუ ახერხებდნენ ბურთთან და ისევ საკუთარ საჯარიმოში დურთავდნენ თავს. მეორე ტაიმში მასპინძლებმა მარწუხებს მოუჭირეს, იაშვილმა მთლად აიწყვიტა, ორი მცველი მოატყუა და გოლს არაფერი აკლდა, მაგრამ... მალინაუსკასი კლდესავით იდგა. ერთ წუთში ისევ იაშვილმა ხოჯავას უზუსტესი პასის შემდეგ ჩაწოლილმა დაურტყა სტუმართა გოლკიპერს, გამოვარდნილ ბურთს კი სანდრო გურულმა არაზუსტად დაარტყა.

მერე კი იყო პენალტი და ის ერთადერთი გოლი, რომელმაც ჩვენს ახალგაზრდებს 5 სექტემბრის შემდეგ (ალბანეთთან 2:1) პირველად მოაგებინა. გაშვებულმა გოლმა ლიტველები შეაჩოჩქოლა, ერთი პერიოდი უპირატესობასაც დაეუფლნენ, მაგრამ შეტევაში ძალიან უმარილოდ თამაშობდნენ. მათი ერთადერთი ჩხვლეტა გოლით დასრულდა: კავალიუსკასმა თავით შეაგდო, თუმც თანამსაჯი თამაშგარეს მაუწყებელ დროშას აფრიალებდა.

ეს იყო და ეს, დარჩენილ დროში არც ქართველებს აუტალახებიათ მეტოქის საჯარიმო, თამაში მოდუნდა და ჟურნალისტები მხოლოდ ფეხბურთელთა შეცვლებსღა ვინიშნავდით... საერთო ჯამში ტყებუჩავას გუნდმა გამართულად ითამაშა — მით უმეტეს, ზემოთ ნახსენები მატჩამდელი დაუწყობლობის კვალობაზე...



სანდრო იაშვილმა ლიტველ მცველებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა



### მატჩის შემდეგ

*ვიტალიუს სტანკევიჩიუსი: ლიტვის ნაკრების მწვრთნელი: საქართველომ კარგად ითამაშა, განსაკუთრებით კი თქვენი 11 ნომერი (იაშვილი) მომეწონა. იგი ძალიან ძლიერია მეორე სართულზე თამაში და საერთოდაც ეტყობა, რომ კარგი ფეხბურთელი დადგება. ჩემი გუნდით კმაყოფილი არ ვარ, ძალიან ბევრი წუნი გვქონდა გადაცემებში, რაც უხარისხო მოედნის ბრალიცაა. მსაჯობაზე კომენტარს კი ყოველთვის ვერიდები.*

*გოჩა ტყებუჩავა: მოხარული ვარ, რომ შესარჩევი მატჩების წინ ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ. ახალწვეულების მიმართ საყვედური არ მეთქმის. სანყენია, რომ კიდევ ბევრი ფეხბურთელი ვერ ვნახეთ. არ მინდა, ვიფიქრო, რომ „ვიტ ჯორჯიამ" შეგნებულად არ გამოუშვა იმედაშვილი და ებანოიძე. რაც შეეხება ლიტველთა გატანილ გოლს, ჩემი საქმე არ არის, იყო თუ არა თამაშგარე — მთავარია, რომ გუნდმა ჯიგრიანად ითამაშა. კაციტაძეს კუნთი დაეჭიმა და თავად ითხოვა შეცვლა, იაშვილმა კი ნაღდად დამარწმუნა თავის შესაძლებლობებში. როდესაც სანდრო დავალებებს ასრულებს, ნამდვილად დიდი ძალაა.*

*სანდრო იაშვილი: „რეინჯერსში" ვარჯიშით ფორმაში შევედი და, მგონი, დღეს ცუდად არ მითამაშია. ლიტვას კარგი გუნდი ჰყავდა, მაგრამ აშკარად ვაჯობეთ. ჩვენმა ახალმა ფეხბურთელებმა ლონივრად ითამაშეს, ყველამ მაქსიმუმი გააკეთა და დამსახურებულადაც მოვიგეთ. საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპს ისევ „თბილისში" დავიწყებ, თვენახევარში კი, ალბათ, ისევ წავალ „რეინჯერსში".*

# თქვენი ინტერვიუ
# ლევან კობიაშვილთან
**«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია**



დაიბადა 10.07.77; სიმაღლე 1,83 მ; წონა 79 კგ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1993-94 | ავაზა (თბილისი) | 3 | - | 1998-99 | დინამო (თბილისი) | 2 | - |
| | მეტალურგი (რუსთავი) | 23 | - | | ფრაიბურგი (გერმანია) | 26 | 3 |
| 1994-95 | მეტალურგი (რუსთავი) | 25 | - | 1999-00 | ფრაიბურგი (გერმანია) | 33 | 6 |
| 1995-96 | დინამო (თბილისი) | 27 | - | 2000-01 | ფრაიბურგი (გერმანია) | 31 | 7 |
| | დინამო 2 (თბილისი) | 3 | - | 2001-02 | ფრაიბურგი (გერმანია) | 31 | 4 |
| 1996-97 | დინამო (თბილისი) | 7 | 3 | 2002-03 | ფრაიბურგი (გერმანია) | 28 | 10 |
| 1997 | ალანია (რუსეთი) | 21 | 5 | 2003-04 | შალკე (გერმანია) | 29 | 0 |
| 1997-98 | ფრაიბურგი (გერმანია) | 15 | 1 | 2004-05 | შალკე (გერმანია) | 19 | 3 |

საქართველოს ნაკრებში 50 მატჩი, 3 გოლი

საქართველოს ნაკრებისა და გერმანული „შალკეს" ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი სადღეისოდ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. „კობის" პროგრესს ყველა ამჩნევს — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ქართველი თუ უცხოელი...

„სარბიელის" ახალი რუბრიკის „თქვენი ინტერვიუ"-ს პირველ სტუმრადაც სწორედ ლევან კობიაშვილი შევარჩიეთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ახლო მომავალში „თქვენი ინტერვიუ"-სთვის ქართულ ფეხბურთში ცნობილ და პოპულარულ სხვა ადამიანებთანაც შეგახვედრებთ.

მაშ ასე, დღეს პირველი სტუმარი გვყავს: ლევან კობიაშვილი თქვენი კითხვების პირისპირ...



*ნათია ომანაძე*

*23 წლის, თბილისი*

**— იღბლიანად დაიწყო თუ არა თქვენთვის 2005 წელი?**

— უკმაყოფილო ნაღდად არ ვარ, თუმცა უკეთესს ვისურვებდი. რაც მთავარია, ჯანმრთელად ვარ და ჩემი ოჯახი და ახლობელ-მეგობრებიც კარგად არიან. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**— კარიერის დასაწყისში ვინ იყო თქვენთვის მისაბაძი ფეხბურთელი?**

— პაოლო მალდინი. მაშინ მეც მარცხენა მცველის პოზიციაზე ვთამაშობდი და მალდინიც ამიტომ მომწონდა.

**— ნახევარდაცვაში თამაშისას თქვენთვის რა უფრო მოსახერხებელია: როცა მარტო ასრულებთ საყრდენის ფუნქციებს თუ გვერდით პარტნიორი გყავთ?**

— რა თქმა უნდა, როცა პარტნიორი მყავს, ანუ ორი საყრდენით ვთამაშობთ.

**— „შალკეს" რომელმა ფეხბურთელმა მოახდინა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება?**

— არავის გამოვარჩევ, უფრო მთლიანად გუნდმა მომხიბლა.

**— „შალკეში" გადმოსულ ბრაზილიელ აილტონს პირველ ხანებში ადაპტირება გაუჭირდა. თქვენი აზრით, ეს პრობლემა საბოლოოდ დაძლია?**

— მგონი, კი. აილტონი ბოლო დროს კარგად თამაშობს, გოლებიც გააქვს და, ვფიქრობ, მალე ძველებურ ფორმას დაიბრუნებს.

**— ბუნდესლიგის მოგება გირჩევნიათ თუ ჩემპიონთა ლიგის?**

— სადღეისოდ ბუნდესლიგის, რადგან ჩემპიონთა ლიგაში „შალკე" არ თამაშობს.

**— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს გელზენკირხენში?**

— მეტწილად ოჯახთან ერთად. თანაგუნდელებთან და მეგობრებთანაც ხშირად ვარ.

**— რას იტყვით საქართველოს ნაკრებზე და რას დაჰპირდებით ქართველ გულშემატკივარს?**

— ვფიქრობ, კარგ გზაზე ვდგავართ და იმის იმედი ნაღდად გვაქვს, რომ რამეს მივაღწევთ. გულშემატკივრებს კი ახალ დაპირებებს ვერ მივცემ, რადგან ჩვენ მათთან ჯერაც ვალში ვართ. ერთს კი ვუსურვებ — მათ საყვარელ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ეთამაშოს.

*გიორგი სიგუა*

*21 წლის, თბილისი*

**— თამაშის რა დონესაც ბუნდესლიგაში აჩვენებთ, თქვენი მაქსიმუმია?**

— ვთვლი, რომ არა, მეტიც შემიძლია და ასე რომ არ ვფიქრობდე, ჩემს თამაშს აზრი დაეკარგებოდა.

*ლევან თოფურია*

*17 წლის, აბაშა*

**— სახელი ვის პატივსაცემად დაგარქვეს?**

— არ ვიცი. ამ კითხვაზე მამაჩემი უფრო კარგად გიპასუხებთ.

*კოკა ბუქურაული*

*თბილისი*

**— რომელმა მწვრთნელმა ითამაშა თქვენს კარიერაში უმთავრესი როლი?**

— კონკრეტულად ერთის დასახელება გამიჭირდება. ბევრი მწვრთნელის მადლიერი ვარ. რევაზ ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე... რა ვიცი, ყველამ... არ მინდა, ვინმე გამომრჩეს.

*არსენ ქსოვრელიშვილი*

*17 წლის, თელავი*

**— გუნდში რომელ ფეხბურთელთან ხართ ყველაზე მეგობრულად?**

— ალტინტოპთან, ასამოასთან და ლინკოლნთან. ისე, სხვებზეც ვერ ვიტყვი ცუდს, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

*ლუიზა ბასილაური*

*15 წლის, თელავი*

**— ფრაიბურგელ ქომაგებთან უფრო თბილი ურთიერთობა გქონდათ თუ გელზენკირხენელებთან?**

— უფრო ფრაიბურგელებთან. მათგან რაღაცნაირ, განსაკუთრებულ სითბოს ვგრძნობდი. გელზენკირხენში კი ცოტათი სხვანაირადაა.

*დავით ხინველი*

*თბილისი*

**— გაქვთ თუ არა გეგმაში, რომ კარიერა თბილისის „დინამოში" დაასრულოთ?**

— არ ვიცი, მაგაზე არ მიფიქრია. კარიერის დასრულებაზე ჯერ საერთოდ არ ვფიქრობ.


















*ზურაბ ანჯაფარიძე*

*თბილისი*

— ელექტრონული ფოსტა თუ გაქვთ?

— ჯერჯერობით არა.

*ალექსანდრე ნიკოლაიშვილი*

*18 წლის, თბილისი*

— ერთი რჩევა მინდა გკითხოთ: სამი წელია, ტრავმა მაქვს, მაგრად დავიტანჯე. ვერც ვთამაშობ და ვერც ვვარჯიშობ. ვისთან არ ვიმკურნალე, მაგრამ შედეგი... ახლაც ოპერაცია დამინიშნეს და 800 დოლარს მთხოვენ. თუ შეგიძლიათ, მითხრათ, როგორ მოვიქცე, ან ისეთი ექიმი თუ გეგულებათ, რომ მივიდე და ნორმალურად გამსინჯოს, საერთოდ თუ დარჩა ასეთი ექიმი საქართველოში...

— ჯერ ისეთი ასაკი არ გაქვს, რომ დანებებაზე იფიქრო. ბევრი მინახავს შენზე უარეს მდგომარეობაში, მაგრამ თავს აჯობეს და ფეხბურთიც ითამაშეს. გულწრფელად თანაგიგრძნობ და იმედი მაქვს, მალე ყველაფერი კარგად იქნება. გამოჯანმრთელებას გისურვებ.

*იკა ვასაძე*

*19 წლის, თბილისი*

**— როგორც ვიცი, „ფრაიბურგის“ და „შალკეს“ ხელმძღვანელებთან კარგი ურთიერთობა გაქვთ. საქართველოში საფეხბურთო სკოლის დაარსებაზე და ბავშვების გერმანიაში სტაჟირებით წაყვანაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

— სკოლის დაარსებას მართლა ვაპირებ, მაქვს ასეთი გეგმა და ალბათ მალე განვახორციელებ კიდეც, მაგრამ ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით. უახლოეს მომავალში ყველაფერი უფრო კონკრეტულად მეცოდინება.

*ზურაბ ციმაკურიძე*

*თბილისი*

**— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გატანილი პირველი გოლი თუ გახსოვთ?**

— ზუსტად ნაღდად ვერ ვიხსენებ. ისე, საქართველოში ბევრი გოლი არც გამიტანია. თუ არ ვცდები, პირველად წყალტუბოს „სამგურალს“ გავუტანე, როცა თბილისის „დინამოში“ ვთამაშობდი.

**— უცხოური კარიერის პირველი მატჩი...**

— რუსეთს არ ჩავთვლი და გერმანული კარიერის პირველი მატჩი კარგად მახსოვს — „ფრაიბურგი“ მიუნხენის „ბაიერნს“ ეთამაშებოდა და მეც მაშინ მქონდა დებიუტი.

**— პირველი მატჩი ნაკრებში?**

— მაგას რა დამავიწყებს: 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ნორვეგიაში 0:1 წავაგეთ და ნაკრებში პირველად მაშინ ვითამაშე.

**— რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად?**

— რა გითხრათ, შანსი ყოველთვის არის. მთავარია, როგორ გამოიყენებ...

**— „შალკეს“ შეუძლია ბუნდესლიგის ჩემპიონობა?**

— რა თქმა უნდა, შეუძლია.

**— თქვენი აზრით, ვინ არის მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი?**

— დიეგო მარადონა.

**— საქართველოში საუკეთესო?**

— ძნელი გამოსარჩევია. ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავდა და ერთის დასახელება მიჭირს.

*DEA-MANU*

*თბილისი*

**— კობი, ძალიან მაგარი ხარ, ყველას გვიყვარხარ. „შალკე“ წლეულს ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდება და ეს პირველ რიგში შენი დამსახურებაა. ჩემი ოცნებაა, „მანჩესტერში“ ითამაშო...**

— ძალიან დიდი მადლობა ასეთი თბილი სიტყვებისთვის. რაც შეეხება „მანჩესტერს“, კარგია, ასეთი ოცნება რომ გაქვს, მაგრამ მეც ჩემი ოცნებები მაქვს. ვნახოთ, მომავალში არ იქნება.




ნიკა დოლიძემ და მამუკა გუგეშაშვილმა ალექსანდრე ჩივაძეს მაგრად შეუტიეს

# ჯერ დანიშნეს, მერე გაარჩიეს
## ფედერაციამ ანგარიში დაწერა

**გუშინ** სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-8, საანგარიშო-მოხსენებითი ყრილობა გაიმართა. დღის წესრიგში სულ ოთხი საკითხი იყო და დიდი დავა-კამათი მათ განხილვა-დამტკიცებას არ მოჰყოლია. ყრილობამ, რომელსაც 47 დელეგატიდან 37 ესწრებოდა, უპრობლემოდ დაამტკიცა ფედერაციის წლევანდელი ბიუჯეტი, დამოუკიდებელი აუდიტორი და წესდებაში უმნიშვნელო ცვლილებებიც შეიტანა. დელეგატებმა მოისმინეს 2004 წელს ფედერაციის საქმიანობის ანგარიშიც. მოკლედ, ოფიციალურ-ფორმალური ნაწილი დელეგატებმა მალევე მოითავეს და...

სიტყვა აღმასკომის წევრმა ნიკა დოლიძემ ითხოვა და დიდი დავიდარაბაც ატყდა. მოგეხსენებათ, გუშინწინ ფედერაციის აღმასკომმა 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად ლევან მელიქია დაამტკიცა, არადა, როგორც ამბობდნენ, კობა ჟორჟიკაშვილის დანიშვნა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყოო.

საქმის გარჩევაც ჟორჟიკაშვილის ნაცვლად მელიქიას დამტკიცებას მოჰყვა. ნიკა დოლიძე და „თბილისის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი აღმასკომის არჩევანმა გაახელა და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეს მელიქიას ლობირება წამოაძახეს, თქვეს ისიც, რომ აღმასკომმა არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღოო. საპასუხოდ ჩივაძემ თავისი არგუმენტებით მიმართა დელეგატებს.

ერთი ნაპერწკალი იყო საჭირო და, „ქორთიარდში“ ამბავი იქნებოდა, მტრისას. ვითარების განმუხტვა ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ სცადა, გარკვეულწილად მოახერხა კიდეც, მაგრამ გუგეშაშვილის და დოლიძის ვნებები მაინც ვერ ჩააცხრო.

მერე ისიც საკამათო გახდა, ნაკრებთა მწვრთნელებს (ეროვნულის გარდა) აღმასკომი რატომ ამტკიცებსო, ახსენეს მწვრთნელთა საბჭოც, რომელიც წესით, აღმასკომს მწვრთნელის კანდიდატურას წარუდგენს, მაგრამ საბოლოოდ ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა და საკითხის განხილვა, რომელმა ორგანომ უნდა დაამტკიცოს ასაკობრივ ნაკრებთა მწვრთნელები, სამომავლოდ გადაიდო.

**კობა ინასარიძე**

# ლიონი სამოთხეა
## სანდრო გურული დიდი ლიონისთვის გოლებს და პასებს აგროვებს

**19 წლის** სანდრო გურულის ოცნება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და ფრანგული „ლიონის“ ძირითად გუნდში დამკვიდრებაა. ალენ ჟირესის თანაშემწის ვაჟი ჯერჯერობით ლიონელთა დუბლშემადგენლობაში აგორებს ბურთს, საიდანაც ფრანგული გრანდის დიდ გუნდში გადასასვლელად ერთი, თუმც ძნელად გადასადგმელი ნაბიჯია.

სანდროსთან საუბარიც ამით დავიწყეთ...

„ჯერ არ ვიცი, როგორ აეწყობა ჩემი კარიერა, მაგრამ „ლიონში“ ძალიან ბედნიერი ვარ. დუბლშემადგენლობაში მუდმივად ვთამაშობ, ოთხშაბათობით კი ძირითად გუნდთან ერთადაც ვვარჯიშობ. ჟუნინიო პერნამბუკანო სასწაული ფეხბურთელია, უფრო ახლოს კი ბრაიან ბერგუნოსთან და სილვენ იდანგართან ვმეგობრობ. „ლიონში“ საოცარი ატმოსფეროა. გუნდი ხომ საფრანგეთში უძლიერესია და მთელი ქალაქიც ფეხბურთით ცხოვრობს. საფრანგეთის დუბლების ჩემპიონატსაც საკმაო ყურადღება ექცევა. მოკლედ, ყველა პირობაა იმისთვის, რომ კარგი ფეხბურთელი გახდე“ — ამბობს გურული, რომელიც საფრანგეთის დუბლების ჩემპიონატში გოლებსა და საგოლე პასებს აგროვებს.

სანდრო ფრანგულ და ქართულ თამაშის სტილში მთავარ განსხვავებას იმაში ხედავს, რომ აქ უფრო ხშირად ათრევენ ბურთს, „ლიონში“ კი ერთი შეხებით თამაშს ანიჭებენ უპირატესობას.

„ახალგაზრდულ ნაკრებში ძალიან კარგი ბიჭები არიან, ყველასთან ვმეგობრობ. მონდომება ეტყობათ და ვფიქრობ, კარგი გუნდიც გვეყოლება“.

სანდრო „ლიონის“ ძირითად გუნდში გადასვლის პერსპექტივასაც ხატავს: „ყოველ შემთხვევაში, დუბლებში ჩემი თამაშით კმაყოფილები არიანო. დიდი „ლიონის“ მთავარ მწვრთნელ პოლ ლე გუენს ახალგაზრდები ძალიან მოსწონს და ხშირად ამბობს დუბლებიდან უნდა ავიყვანოთ მოთამაშეებიო. იგივე ბერგუნო ჩვენი გუნდიდან დააწინაურა და ისიც უმართლებს — ბოლო თამაშებია, უგოლოდ არ გადის მოედნიდან“.

გურულის თქმით, „ლიონის“ ხელმძღვანელობა აპრილში საკონტრაქტო დეტალებს გადახედავს და შესაძლოა, დუბლების რამდენიმე მოთამაშეც ძირითად გუნდში მოხვდეს.

**ილია ნანობაშვილი**



# დინამომ მარბელას სპარტაკი მიუჯაჭვა

**გუშინ** მოსკოვის „სპარტაკის“ ოფიციალური ვებ-გვერდი წერდა, თბილისის „დინამომ“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართული ფეხბურთი ლამაზ ფინტებსა და ორიგინალურ პასებთან ასოცირდებაო. დიახ, გია გეგუჩაძის გუნდმა „მარბელას თასის“ მესამე შეხვედრაში „სპარტაკს“ 2:1 მოუგო და ოთხგუნდა ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ მანამდე დინამოელებმა დონეცკის „შახტართან“ და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ ერთნაირი ანგარიშით — 1:3 წააგეს.

„დინამო“ — „სპარტაკის“ ჯახი რომ მთლად ამხანაგურ ჩარჩოში არ ჯდება, ამას თქმა არ უნდა და, მით უმეტეს სასიამოვნოა თბილისელთა გამარჯვება.

ქართველებმა რიხიანად დაიწყეს და მე-5 წუთზევე ლევან მელქაძემ ანგარიში გახსნა, ამის შემდეგაც დინამოელები უტევდნენ და სპარტაკელთა არგენტინელი ფორვარდის ფერნანდო კავენაგის 32-ე წუთზე გატანილი გოლი მოულოდნელი იყო. პირველი ტაიმის მიწურულს გიორგი ჭელიძემ მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა და „სახალხო გუნდის“ გოლკიპერ ზუევისთვის უფრო ზუსტად რომ გადაეგდო ბურთი თავზე, 2:1 მალევე გახდებოდა.

მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა, მაგრამ მელქაძემ არ მოისვენა, 78-ე წუთზე საჯარიმოში შეიჭრა და აუღებელი დაარტყა — 2:1.

დინამოელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *ზოიძე, ორბელაძე, სილაგაძე, ჭიჭვეიშვილი, რომერო, კანდელაკი, გ. ჭელიძე (ნემსაძე 46), ბაბუნაშვილი (კაშია 61), ჯამარაული, კაკალაძე, მელქაძე (დვალი 90).*

**ილია ნანობაშვილი**

# აი, ასეთი იყო ჯემალი

*შოთა არველაძე გლაზგოდან საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში ერთი დღით, რათა თავისი გარდაცვლილი აღმზრდელის, ჯემალ ჩიმაკაძის პანაშვიდზე ჭირისუფლებში ჩამდგარიყო. ქვემორე სიტყვები სწორედ შოთასია — რამდენიმე ამბავი და შტრიხი 62 წლის ასაკში დაღუპულ ჯემალ ჩიმაკაძეზე...*

...ჯემალს პირველად 1982 წელს შევხვდი, ის ესპანეთ 82-ის თილისმას, „ხეტაფეს“ „ბრელოკს“ ათამაშებდა, ჰოდა, მეც თამამად მივაჭერი და მის ლამაზ ნივთს ხელი წავავლე — აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

...ჩემზე და აჩიზე ბევრს კამათობდნენ, ამბობდნენ, ტყუპები ფეხბურთს ვერ ითამაშებენო, მაგრამ ჯემალი ყოველთვის ჩვენ მხარეს იყო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნიჭიერებად გვთვლიდა — მათ ისეთი სიყვარული შეუძლიათ, ფეხბურთს აუცილებლად ითამაშებენო — ამბობდა ჯემალი.

...ის აჩის თან გადაყვა, შენ და შენი მუხლის ვინტებმა გამაჭაღარავესო — ეუბნებოდა აჩის.

...მე და აჩი ჭირიანი ბავშვები ვიყავით და ჯემალი ჩვენს მოსალონიერებლად რას არ აკეთებდა, ბახმაროშიც კი დაგვყვებოდა. მას ჩვენთან მამაშვილური დამოკიდებულებაც ჰქონდა და ძმაკაცურიც. ძალიან განიცდიდა, რომ თვითონ ვერ ითამაშა ფეხბურთი, მაგრამ ჩვენით ხარობდა, თქვენი თავი ღმერთმა გადმომიგდოო.

...მას განსაკუთრებული ალღო ჰქონდა. მაშინ, როცა სერგეი კირიაკოვი მოსკოვის „დინამოს“ დუბლების სასტარტოშიც კი ვერ ხვდებოდა, ჯემალს ერთი სული ჰქონდა, მოსკოვის „დინამოს“ დუბლების თამაში ენახა. წავიდეთ, „რიჟიკას“ ვუყუროთო, იტყოდა ხოლმე ჯემალი წითურ კირიაკოვზე.

-ვეხვეწებოდი, „ლოკომოტივის“ მწვრთნელობას არ დათანხმდე-მეთქი, მაგრამ არ დაგვიჯერა მე და აჩის, რაღაცას ამოიჩემებდა და არ გადათქვამდა. ჩვენზე კარგად მას არავინ იცნობდა, ჯემალი ძალიან ემოციური იყო და ამიტომაც ვუშლიდით მწვრთნელობას. ამბობდა, ლოგინში მე ვერ დავწვები, უცბად უნდა მოვკვდეო.

...ბავშვობაში ჯემალი მე და აჩის ხანდახან წაგვითაქებდა, მაგრამ იქვე გვეტყოდა, ჩემი წამოთაქება თაფლივითაა, მთავარია, ცხოვრების დარტყმები აიტანოთო.

...ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩემი შვილი მას ჯემალი ბაბუას ეძახდა. ჩემი უმცროსი შვილის სურათი კი ჯემალს სასთუმალთან ჰქონდა გაკრული.

...თბილისში ეს ჩემი პირველი ჩამოსვლაა, როცა ჯემალი ვერ მაცილებს. ახლა ავტობიოგრაფიულ წიგნს ვწერ და მას ჯემალის ხსოვნას მივუძღვნი.

ცხოვრებიდან წავიდა თბილისის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი ჯემალ ჩიმაკაძე. რამდენიმე დღის წინ იგი ტრაპიზონში, ლოკომოტიველთა შეკრებაზე იმყოფებოდა, იქ შეუძლოდ შეიქნა, მაგრამ საავადმყოფოში მიყვანილი ექიმებს არ დაემორჩილა და გუნდს დაუბრუნდა... შეკრებიდან წამოსული მატარებელში კვლავ ცუდად გახდა და მშობლიურ თბილისამდე ველარ ჩამოაღწია.

ჯემალ ჩიმაკაძე ფეხბურთით ცხოვრობდა, ფეხბურთი მისი სამყარო იყო. აღმზრდელის გარეშე დარჩნენ ძმები არველაძეები, ნიკოლოზ და ლევან ყიფიანები, გოგიტა გოგუა. დღეს განსაკუთრებით დამწუხრებულნი არიან ტყუპები, შოთა და არჩილ არველაძეები, რომელთა საფეხბურთო ვარსკვლავი, შეიძლება ითქვას, ბატონმა ჯემალმა აანთო.

ჯემალ ჩიმაკაძე ყოველთვის გაურბოდა თანამდებობას. იგი მუდმივად ძიებაში იყო და გამორჩეული ალღოც ჰქონდა. კოჭებში ატყობდა ტალანტს, ეძიებდა, პოულობდა და ზრდიდა.

სულ ახლახან კი ხათრი ვერ გაუტეხა „ლოკომოტივის“ თავკაცებს და გუნდი ჩაიბარა, ჩაიბარა იმ მიზნით, ახალგაზრდები მოემზადებინა და ახალი გუნდი შეექმნა.

...და ველარ გაუძლო გულმა...

*საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი“*




ჟოზე მაურინიუმ და ნილ ფრეზერმა მოედანზევე იჩხუბეს

# მაურინიუს ექიმი გაექცა

## ფრეზერმა, თქვენი ასეც და ისეცო

**აი, სეირი:** ლონდონურ „ჩელსის" ექიმი აღარ ჰყავს.

ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო საფეხბურთო დოქტორს, ნილ ფრეზერს ზედ სავარჯიშო მოედანზე მოუხდა ჩხუბი პორტუგალიელ მენეჯერ ჟოზე მაურინიუსთან. მიზეზი კი ნახევარმცველ არიენ რობენის ფეხის გატეხილი ძვალი ყოფილა. ჰოლანდიელი სულ ცოტა 8 კვირით გამოაკლდა გუნდს. რობენს პრემიერლიგის პირველი სამი თვეც ზუსტად ასეთი ტრავმის გამო გაუცდა. 21 წლის ფეხბურთელისთვის ეს უკვე ნამეტანია.

მენეჯერისა და ექიმის ჩხუბის ამბები წვრილად უცნობია, მაგრამ კამათი სწორედ რობენის გამო ატეხილა და ექიმ ფრეზერს უთქვამს, თქვენი ასეც და ისეც, მე აქ გამჩერებელი აღარა ვარო.

ერთი სიტყვით, მაურინიუმ არა მხოლოდ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დაკარგა, არამედ საუკეთესო ექიმიც.

წინ კი უაღრესად მძიმე 10 სალიგო დღეა. ამას ეშლი კოულის სკანდალის გარჩევაც თან ერთვის. ასე, რომ ჟოზე მაურინიუს და „ჩელსის" მძიმე ქარცეცხლში გავლა ნამდვილად მოუწევთ.

**ირაკლი გამყრელიძე**



ჩხუბის მიზეზი: არიენ რობენი

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი (U-21)

### II ჯგუფი

**ალბანეთი 1:1 უკრაინა**

0:1 ფევჩუკი (65), 1:1 მილე (85)

**საბერძნეთი 0:1 დანია**

0:1 მ. რასმუსენი (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:6 | 13 |
| უკრაინა | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| თურქეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| საბერძნეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 7 |
| ალბანეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:11 | 4 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:8 | 0 |

### VI ჯგუფი

**უელსი 0:4 გერმანია**

0:1 სენესიე (14), 0:2 ლუდვიგი (25), 0:3 ჰანკე (79), 0:4 მარსელ იანსენი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 10 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| უელსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | 4 |
| ავსტრია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |

### VII ჯგუფი

**ესპანეთი 14:0 სან მარინო**

1:0 სილვა (6), 2:0 ლორენტე (11), 3:0 ვანეტი (30ს.კ.), 4:0 ლორენტე (45), 5:0, 6:0 სორიანო (48, 50), 7:0 სილვა (62), 8:0 სორიანო (65), 9:0 ხარკე (68), 10:0 ვქტორ ფონტი (72), 11:0, 12:0 ხარკე (75, 85), 13:0 ხესუს ნავასი (90), 14:0 სორიანო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 17:5 | 9 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 19:3 | 8 |
| ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 |
| ლიტვა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1:37 | 0 |

# მალკოლმ გლეიზერი: არც 800 000 000 გაწყობთ?

## მანჩესტერი თანახმაა, მაგრამ...

**ბოლო ცნობა** „ოლდ ტრეფორდიდან" ასეთია: „მანჩესტერის" მთავარი მეწილეები, ირლანდიელი მილიარდელები, ჯონ მანიე და ჯეი პი მაკმანუსი თანახმანი არიან ამერიკელი მილიარდერის, მალკოლმ გლეიზერის შეთავაზებას, 800 მილიონ გირვანქად გადასცენ კლუბი. ოღონდაც, წყვილი ჯერ „იუნაიტედის" მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებას, სხვანაირად კი თანხმობას დაელოდება.



მოგეხსენებათ, ირლანდიელები კლუბის აქციების 28.9 პროცენტს ფლობენ, ამერიკელი — 28.1-ს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ „მანჩესტერის" პასუხი სწრაფი არ იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ პასუხისმგებელი შეფი დევიდ გილი ახლა ჟენევაშია, უეფას სამიტზე.

თანაც, სულ რამდენიმე კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც კლუბის საბჭომ თქვა, გლეიზერთან ამ საკითხზე ლაპარაკს მორჩა, აღარ ვაპირებთო. მეორეს მხრივ კი, „მანჩესტერმა" რაგინდარა პასუხი განსაზღვრულ დროში უნდა თქვას, ასეთია აქციების ბირჟის წესები.

მაგრამ, არ შეიძლება თავგადაკლული ფანების დავიწყებაც, რომელიც დიდი ძალაა მანჩესტერში. გლეიზერი საპნის ქარხანას კი არ ყიდულობს, არამედ მთელს ემოციურ, ირაციონალურ, ადამიანურ მარაგს. ამიტომ, აქ განცდებიც ძალიან დიდ როლს თამაშობს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჯანყი პარიზში

## ხალხმა ჰალილჰოჯიჩს რევოლუცია მოუწყო

# პსჟ ფურნიეს ჩააბარეს

**„პარი სენ ჟერმენის"** მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი გუშინ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ბოსნიელის ბედი მომავალ უქმეებზე, პსჟ — „ბორდოს" სათასო მატჩის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ნაადრევად გაირკვა.

მისი ადრიანად დაფრენის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ჰალილჰოჯიჩის დიქტატურით შეწუხებულმა ფეხბურთელებმა გუშინწინ, ვარჯიშზე წასვლა იუარეს.

„ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო" — დაიჩივლა ერთ-ერთმა, მეორემ კი თქვა: „მასთან ერთად მუშაობა შეუძლებელია. ის უნდა წავიდეს".

ცხადია, მოთამაშეთა გაფიცვის შესახებ კლუბის პრეზიდენტსაც აცნობეს. ფრანსის გრაიმ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი კაბინეტში დაიბარა და მოკლედ უთხრა: „ფეხბურთელები შენს მოხსნას ითხოვენ". ბოსნიელი არც გაჯიუტებულა. „რა ვქნა, გადაწყვეტილების მიღება ძალიან კი გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო" — დასძენს გრაი.



ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის სავარძელში ლორან ფურნიე ჩაჯდა

ადრეც გითხარით, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი და ფრანსის გრაი „ლილში" ერთად მუშაობდნენ და გუნდი ჩემპიონთა ლიგაშიც ათამაშეს. პრეზიდენტს მეგობრის გაშვება „ბორდოსთან" მატჩამდე არ სურდა, მაგრამ პსჟ-ს მთავარი სპონსორის, „კანალ პლუსის" მეპატრონეებმა აიძულეს გრაი ეს ნაბიჯი გადაედგა.

1952 წელს დაბადებულმა ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა ფეხბურთელის კარიერა ყოფილი იუგოსლავიის კლუბ „ველეჟ მოსტარში" დაიწყო. 1981-ში, „ნანტის" მაისურა მოირგო და ხუთი სეზონის განმავლობაში გუნდის ერთ-ერთი მთავარმეგოლეც იყო. შემდეგ სამი წელი პსჟ-ში გაატარა და პარიზიდან ისევ მოსტარში, ამჯერად მწვრთნელად დაბრუნდა.

1998 წელს სამუშაოდ „ლილში" გადავიდა. ოთხ სეზონში გუნდი მეორე დივიზიონიდან პირველში აიყვანა და ჩემპიონთა ლიგაც დააჭაშნიკა.

2002-ში გავარდნის პირას მყოფი „რენი" გადაარჩინა, მომავალ წელს კი პსჟ ჩაიბარა, რომლის პრეზიდენტიც იმ დროს უკვე ფრანსის გრაი იყო. შარშან, პარიზულ კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგის საგზური და საფრანგეთის თასი მოიგო, გუშინწინ კი ფეხბურთელები აუჯანყდნენ.

და გუშინვე, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის შემცვლელიც დასახელდა. ფრანსის გრაიმ „პარი სენ ჟერმენი" კლუბის ყოფილ ფეხბურთელს, 40 წლის ლორან ფურნიეს ჩააბარა.

ლორან ფურნიე პსჟ-ში 1991 წლიდან 1998 წლამდე თამაშობდა, მერე ნახევარმცველი „ბასტიაში" გადაბარგდა და კარიერაც იქვე დაასრულა.

ჯერჯერობით, ფურნიე გუნდს სეზონის ბოლომდე გაწვრთნის. მისი დებიუტი კი უქმეებზე, საფრანგეთის თასის მატჩში, „ბორდოსთან" შედგება.

**ვაჟა ხუციშვილი**



რობერტო ჰოიზერმა (მარცხნივ) ჟურნალისტ იოჰანეს კერნერს გული გადაუშალა

# თაღლითის ტელეაღსარება

## ამბავი მსაჯობით გამდიდრებული დურგლისა

*25 წლის თაღლითი მსაჯი რობერტ ჰოიზერი ტელეჟურნალისტმა იოჰანეს კერნერმა ZDF-ის სტუდიაში, დაცვის თანხლებით მიიწვია. დამნაშავემ კამერის წინაც აღიარა, ფულს დავხარბდი და შავ დღეშიც ამიტომ ჩავვარდიო*

„გერმანიის საფეხბურთო კავშირი ალბათ ვერც წარმოიდგენდა, თუ ჩემს დაჭერას ასეთი რია-რია მოჰყვებოდა. თავიდან, მათ ალბათ მხოლოდ მე ვეგონე მატჩების ჩამწყობი, მაგრამ იღბლად ათიანში მოარტყეს. ეს ყველაფერი კრაზანების ბუდის მოულოდნელად აშლას ჰგავს, მე ხომ ძალიან ბევრ ინფორმაციას ვფლობ".

რობერტ ჰოიზერმა დასძინა, გამდიდრების მანიამ გამაბრიყვაო: „ბევრმა ფულმა დამაბრმავა. ჩემი ჯამაგირი თვეში სამი ათასი ევროა, უცბად კი ათჯერ მეტის იოლად შოვნის შანსი გამიჩნდა. მაფიამაც ჩემი სისუსტით ისარგებლა და ჩამითრია".

მსაჯ-დურგალმა, რომელიც ერთხელ უნივერსიტეტიდან გააძევეს, მერე კი ისევ მიიღეს, თქვა, ვიცი, ხალხს როგორაც ვეზიზღებიო: „მრცხვენია მომხდარის გამო. ეს წარმოუდგენლად დამამცირებელია ნებისმიერი ადამიანის თვალში, თუნდაც ფეხბურთში არაფერი ესაქმებოდეს. ახლა, მომიწევს ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც ადამიანები ჩემს წყევლას არ დაიზარებენ და შეიძლება, ბევრმა საცემრადაც გამოიწიოს, როცა ქუჩაში დამინახავს."

თაღლითობაში 25 კაცია ეჭვმიტანილი, მათ შორის სამი მსაჯი და 14 ფეხბურთელი. ბუნდესლიგელმა არბიტრმა იურგერ იანსენმა და მისმა ქვედა-ლიგელმა კოლეგა ფელიქს ცვაიერმა ბრალდება უარყვეს. ოცდახუთიდან სამი ხორვატი ძმაა — ანტე, მილანი და ფილიპი იმ ხორვატიული მაფიის წევრები არიან, რომლებთანაც ჰოიზერი თანამშრომლობდა.

„ციხეში მისვლისაც მეშინია — განაგრძო რობერტ ჰოიზერმა — ვიცი, რომ ხორვატები არ მაპატიებენ. სანამ დანაშაულს ვაღიარებდი, გამუდმებით მირეკავდნენ და მაშინებდნენ, ხმა არ ამოიღო, რამე არ წამოგცდეს, თორემ მერე რაც მოგივა, კარგად არ დაგიმთავრდებაო".

ამასობაში, გერმანულმა პოლიციამ ავსტრიელ კოლეგებს შეუთვალა, თქვენებური „ბრეგენცის" ბოსნიელი მეკარე ალმირ ტოლჯა მოიკითხეთ, რობერტ ჰოიზერმა თქვა, ერთ-ერთი იმ ხორვატი ძმის, ფილიპის მეგობარი ყოფილაო. ტოლჯამ კი ავსტრიულ სააგენტო APA-სთან განაცხადა, ყველაფერი ტყუილია, ეგ გაიძვერა ხელებს ახლა მე მაწმენდს, იგონებსო.

ავსტრიული პოლიცია კი საქმის ძიებას შეუდგა...

**გაჟა ხუციშვილი**

# სტამი მემარჯვენე არ არის

## ანჩელოტი ეფექტურს არაეფექტურით ვერ დაშლის

**იაპ სტამმა** „მილანის" მწვრთნელ კარლო ანჩელოტის შესაძლოა, საფიქრალი გაუჩინოს. ჰოლანდიელმა მცველმა „ლაციოსთან" მატჩის შემდეგ დაიჩივლა, მარჯვენა მცველის პოზიციაზე თამაში არ მომწონსო. „განაპირა მცველის ადგილზე ნამდვილად არაეფექტური ვარ — განაცხადა ფეხბურთელმა — წინ წასვლას და შეტევაში ჩართვას კარგად ვერ ვახერხებ. ეს ჩემი საქმე არ არის".

არადა, ამბობდნენ, იაპ სტამი „მილანმა" იმიტომ შეიძინა, რომ შეუძლია ცენტრშიც და მარჯვენა ფლანგზეც ითამაშოსო.

გასულ უქმეებზე „შავ-წითლებმა" „ლაციოს" 2:1 მოუგეს. მატჩში სტუმრებმა პენალტით გახსნეს ანგარიში, თერთმეტმეტრიანი კი სწორედ ჰოლანდიელმა მცველმა „აიკიდა". და, აშკარად ჩანდა ისიც, რომ დაცვის მარჯვენა ფრთაზე სტამი კაფუსავით სასარგებლოდ ვერ ირჯებოდა.

„ამ შემთხვევაში ექსპერიმენტმა ნაღდად არ გაამართლა — აღნიშნა სტამმა — მარჯვენა ფლანგზე თავს უცხოდ ვგრძნობ. მართალია, „ლაციოში" ამავე პოზიციაზე ვთამაშობდი, მაგრამ ყველამ იცის, რომ დაცვაში მეტ დროს ვატარებდი და გაცილებით სასარგებლო ვიყავი, ვიდრე შეტევაში".

რა გამოდის? ფაქტობრივად, ჰოლანდიელი მცველი მედიის საშუალებით სთხოვს ანჩელოტის პოზიციის შეცვლას, მაგრამ ძნელად სავარაუდოა, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს, რადგან მწვრთნელს დაცვის ცენტრში განთქმული ნესტა-მალდინის დუეტის დაშლა მოუწევს.

„ლაციოსთან" ზემოხსენებული მატჩის მეორე ტაიმში კაფუ და სერჟინიო შეცვლაზე შევიდნენ. ბრაზილიელებმა მარჯვენა და მარცხენა ნახევარმცველობა იკისრეს, გუნდის დაცვა კი კალაძის გასვლის შემდეგ სამ კაცზე გადაეწყო: სტამი-ნესტა-მალდინი.

იტალიელი მიმომხილველების აზრით, მსგავსი ნაბიჯი ანჩელოტისგან მოულოდნელი იყო და ვარაუდობენ, რომ ამ სქემას „როსონერის" მწვრთნელი მომავალშიც გამოიყენებს.

**გაჟა ხუციშვილი**




იაპ სტამმა „მილანში" როტაცია იუცხოვა

# ფული არ მაქვს? ვიშოვი! მადა? რამდენიც გინდა

## ტურინში დელ პიერო-კასანოზე ისევ ალაპარაკდნენ

**სიცილიური** „პალერმო" ამ სეზონში, მოგეხსენებათ, მაღლა ფრენს, მაღლა ფრენამ კი ამბიციის მოზღვავება იცის — „პალერმო" არც მეტი, არც ნაკლები, თვით ალესანდრო დელ პიეროს გადაბირებას ლამობს, რომელსაც იცით, „იუვენტუსში" რა ხანია, აღარ სწყალობენ.

თუ გახსოვთ, ფაბიო კაპელო ტურინელთა თილისმას არც პაველ ნედვედის დაშვების მერე ანდობს სასტარტო შემადგენლობაში ადგილს. შესაბამისად, სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის ლაპარაკი, დელ პიერო „დელე ალპის" ზაფხულში გამოეთხოვებაო.

ისიც ცხადია, რომ დელ პიეროს კალიბრის ფეხბურთელს მთხოვნელი არ გამოელევა და ვინძლო, თავად ფეხბურთელსაც რომელიმე დიდი კლუბისკენ ეჭიროს თვალი. ან დიდი კლუბისკენ თუ არა, ყატარისკენ ან იაპონიისკენ, სადაც ასაკოვან ვარსკვლავებს საარაკო ხელფასებს უხდიან.

აქედან გამომდინარე, „პალერმოს" წესით შანსიც არ უნდა ჰქონდეს, თუმცა კლუბის პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი ამბობს: „მე ჯერ იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ დელ პიერო ტურინიდან წავა. მაგრამ რაკი ამის ალბათობა არსებობს — მე კი ძალიან მინდა გუნდში მისი დონის ვარსკვლავი მყავდეს — აქედანვე მომიწევს სპონსორის მოზიდვაზე ზრუნვა, რომელიც დელ პიეროსთვის სათანადო ხელფასის გადახდაში დამეხმარება. მოგეხსენებათ, ვარსკვლავს ვარსკვლავის ხელფასი უნდა შესთავაზო, რომ დააინტერესო".

ამასობაში კი, „იუვენტუსს" ანდრეა ბარძალის ხელში ჩაგდება გადაუწყვეტია. ბარძალი ახლახანს „სკუადრა აძურაშიც" მიიწვიეს, ის მცველია, „პალერმოში" თამაშობს, თუმცა „კიევოს" საკუთრებაა. ერთი სიტყვით, „იუვენტუსი" და „პალერმო" დელ პიეროს თუ არა, ბარძალის თაობაზე მაინც მიუსხდებიან მოლაპარაკების მაგიდას. თავად



ანტონიო კასანო

ბარძალი კი ამბობს: „ვიცი, რომ „იუვენტუსი" ჩემით დაინტერესებულია და ეს მეამაყება".

თუმცა ბარძალი იქით იყოს და, „იუვენტუსს" სხვა, უფრო დიდი ტრანსფერის გაჩარხვაც განუზრახავს. „ბებერ ქალბატონს" რომაელი ანტონიო კასანოს ყიდვა სურს. ტურინელთა სურვილი კი ვინმე ლაპო ელკანმა გაახმოვანა.

ვინმეო, ვამბობთ, რაკი ლაპო ელკანს ფეხბურთთან რაიმე შეხება არ აქვს, მაგრამ არც უბრალო კაცი გეგონოთ — ჯოვანი და უმბერტო ანიელებთან მუშაობს, კონცერნ „ფიატის" მარკეტინგის დირექტორია. ხოლო, თუ ვინმემ არ იცის, რა კავშირი აქვს ანიელების ოჯახს ფეხბურთთან, მოვახსენებთ, რომ საავტომობილო მაგნატები „იუვენტუსის" მფლობელებიც არიან.

ჰოდა, ანიელების მარჯვენა ხელმა თქვა: „სიმართლე გითხრათ, პირადად მე სატრანსფერო საქმეებში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ კასანო რომ დიდი ფეხბურთელია, ეს ნამდვილად ვიცი. გაიხსენეთ ბოლო ევროპის ჩემპიონატი, „სკუადრა აძურაში" ის საუკეთესო იყო. ამბობენ, რომ კასანოს ჭირვეული ხასიათი აქვს და მისი მართვა ძალიან ძნელია, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ მას მძიმე ბავშვობა ჰქონდა და ამიტომაც უნდა გავუგოთ. მთავარი კი ის არის, რომ კასანო დიდი ფეხბურთელია და მოედანზე ისეთ რამეებს სჩადის, სხვას რომ არ შეუძლია".

თავისთავად, ლაპო ელკანის ამ განცხადებაში ნათქვამი არ არის, რომ „იუვენტუსი" რომაელი ფეხბურთელის გადასაბირებლად მუშაობას უკვე იწყებს, მაგრამ ანიელებთან დაახლოებული პირისგან ასეთი ნათქვამი, ვინძლო ამას უნდა ნიშნავდეს.

ახლა, იმასაც ამბობენ, რომ ტურინელები „რომას" კასანოს სანაცვლოდ ფულის გარდა ადრიან მუტუსაც მისცემენო. კოკაინნაყნოსი რუმინელი, მოგეხსენებათ, „იუვენტუსმა" იანვარში გადაიბირა.

მუტუს აზრი კი კასანოში შესაძლო გაცვლაზე ასეთია: „იმედი მაქვს, „იუვენტუსიდან".

**ირაკლი ნინიძე**



# ADIOS CLAUDIO!

# რანიერის ფლორესი შეცვლის

**ხმა გავარდა, ესპანეთის ჩემპიონ „ვალენსიას" სეზონის ბოლოს შესაძლოა, ახალი მწვრთნელი დაუნიშნონო ანუ იტალიელმა კლაუდიო რანიერიმ თანამდებობა დატოვოს**

**კატალონიური** „სპორტის" ცნობით, ხუან სოლერი, „ვალენსიას" პრეზიდენტი, სადღაც 30 ივნისისთვის მოეთათბირება რანიერის და თავაზიანად სთხოვს, კონტრაქტით დარჩენილი ორი წელი „მესტალიაზე" არა გუნდის დამრიგებლის, არამედ მენეჯერის რანგში გაატაროს.

ამ ფორმით სენიორ სოლერი ვინძლო რანიერის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ერთი მუხლის შეცვლასაც შეეცადოს — კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, კლუბმა იტალიელს 6 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს კომპენსაციის სახით.

„მესტალიაზე" ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი, რაფაელ ბენიტესი, რომელიც ახლა მერსისაიდულ „ლივერპულს" უდგას სათავეში.

რატომ? ბუნებრივია, „მოხუც" და უშედეგო — „ვალენსია" წლეულს ძალიან ცუდად თამაშობს — რანიერიზე მეტად პერსპექტიული, ბენიტესის მსგავსი მწვრთნელისკენ მიუწევთ გული. ასეთად კი კიკე ფლორესი მიაჩნიათ, დღეს მადრიდული „ხეტაფეს" დამრიგებელი და „ვალენსიას" პრეზიდენტ ხუან სოლერის ფავორიტი.

მიუხედავად იმისა, რომ ფლორესმა დეკემბერში მადრიდულ კლუბთან კონტრაქტი განაახლა, „სპორტი" ვარაუდობს, ვალენსიელები თავისას მაინც გაიტანენ და არც თავად კიკე იქნება უარზეო.

**ლადო ხომერიკი**

# პლატინი და ფრანგული ღვინო რონალდინიო

*ლეგენდარულ მიშელ პლატინის 1982 წელს, თურმე კატალონიურ „ბარსელონაში" უხმობდნენ.*
*„ბარსას" მაშინდელმა თავკაცებმა, ხოსე ლუის ნუნიესმა და ხუან გასპარმა „სენტ ეტიენს" სარფიანი წინადადებითაც მიმართეს, თუმც ევროპის ზედიზედ სამგზის საუკეთესო პლატინიმ ტურინის „იუვენტუსში" გადასვლა არჩია.*
*— რონალდინიო კარგი ფრანგული ღვინოსავითაა, ასაკთან ერთად ხარისხიც რომ ემატება — ასე იწყება კატალონიური „სპორტის" ჟურნალისტის ინტერვიუ მიშელ პლატინისთან, რომელსაც აქვე გთავაზობთ*




**მიშელ პლატინიმ ხუან ლაპორტას და ფრანკ რაიკარდს გუნდი შეუქო**

— უპირველესად საინტერესოა თქვენი აზრი დღევანდელ „ბარსელონაზე"...

— „ბარსა" მხოლოდ ფრანკ რაიკარდის მიერ აწყობილი ჩინებული გუნდი არ არის, მის სიდიადეში მწვრთნელსაც და ფეხბურთელებსაც თანაბრად მიუძღვით წვლილი. ახალგაზრდა და დინამიური მოთამაშეებით დაკომპლექტებული კლუბია. ბიჭები ტექნიკურადაც და ფიზიკურადაც ძლიერები არიან.

**— ეთანხმებით იმ საყოველთაო აზრს, რომ „ბარსელონა" სულ ცოტა ხნის წინ, გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე დღეს...**

— საკუთარი გამოცდილებით ვიცი, სეზონს ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი აქვს — სექტემბრიდან ნოემბრამდე და თებერვლიდან ივნისამდე. ვფიქრობ, „ბარსელონა" ორივე ეტაპისთვის მშვენივრადაა მომზადებული. თუ კლუბმა ერთიორი შეხვედრა დათმო, ეს დიდი ტრაგედია ნამდვილად არ არის. შეხედეთ „მილანს", „იუვენტუსს", „ჩელსის" და დარწმუნდებით, იანვარში რთული დროება ამ გიგანტებსაც ჰქონდათ და მათაც წააგეს რამდენიმე შეხვედრა. აბა, ფეხბურთელები რობოტები ხომ არ არიან, ყველა თამაში მიჯრით მოიგონ...

**— და დღეს რომელი უფრო ძლიერია, „ბარსელონა" თუ „რეალი"?**

— თანამედროვე „ბარსასა" და „რეალს" შორის განსხვავებაზე ლაპარაკი ძალიან რთული საქმეა. უმჯობესი იქნება, თუ ამაზე არ ვისაუბრებთ.

**— თქვენი აზრით, ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი?**

— პირადად მე, შარშან მოგებული ჯილდოების გამო „ოქროს ბურთს" დეკოს გადავცემდი, თუმც სხვაც ბევრია, ვინც ამ პრესტიჟულ ტიტულს იმსახურებს.

**— თუნდაც რონალდინიო?**

— რონი შეუდარებელი ტალანტი და მსოფლიოში ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელია. უკვე დიდი ხანია, რაც მას ვიცნობ და ამ დროის განმავლობაში, უფრო იზრდება და ლვინდება. მოკლედ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რონალდინიო კარგი ფრანგული ღვინოსავითაა, ასაკთან ერთად ხარისხიც რომ ემატება.

**— თქვენს თანამემამულე ლუდოვიკ ჟიულისაც ვინძლო კარგად იცნობდეთ...**

— ჟიული რონალდინიოსგან განსხვავებული სტილით თამაშობს. ფლანგებზე შეუპოვრად იბრძვის და გუნდსაც ამით ძალიან ეხმარება. თუ ბურთს მინდვრის მარცხენა ფლანგზე მიიღებს, უფრო ტექნიკურად თამაშობს, მარჯვენაზე კი გაცილებით სწრაფია.

**— ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ბარსა" ლონდონურ „ჩელსის" ხვდება...**

— ვფიქრობ, ბოლოს სწორედ ამ მატჩში გამარჯვებული მოიგებს ჩემპიონთა ლიგას.

**— კეთილი, მაგრამ სხვა გუნდებს არ თვლით ფავორიტად?**

— „ბარსა", „ჩელსი" და მადრიდის „რეალი" — სამივე ამ გუნდს ინდივიდუალისტი, ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს და სწორედ მათი მწვრთნელების დამსახურებაა, ერთად ასე კარგად რომ ბურთაობენ.




**იტალიური** „ბრეშას" ახალი თავკაცი ალბერტო კავაზინი გახდა. საკმაოდ გამოცდილმა სპეციალისტმა ამ პოსტზე ჯოვანი დე ბიაზი შეცვალა. კავაზინიმ სახელი სწორედ აუტსაიდერების და რთულ მდგომარეობაში მყოფი კლუბების გადარჩენით გაითქვა. აქამდე მას „ლეჩეში", „პადოვაში", „ჩეზენასა" და „ფიორენტინაში" უმუშავია.

**ნორვეგიელმა მცველმა რონი იონსენმა ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. რამდენიმე წლის წინ მიღებული მუხლის ტრავმა 35 წლის ვეტერანს დღემდე არ ასვენებდა. შეგახსენებთ, რომ იონსენმა კარიერის საუკეთესო წლები „მანჩესტერში" გაატარა, ხოლო ბოლოს „ნიუკასლში" ირიცხებოდა. „თამაში უკვე ისეთ სიამოვნებას ველარ მანიჭებს და ჩემი ფორმითაც უკმაყოფილო ვარ. თან მუხლის ტკივილებიც გამიხშირდა. ამ ყველაფრის გამო გადავწყვიტე კარიერა დავასრულო" — თქვა იონსენმა.**

**ესპანური** „მალიორკას" ფორვარდი ფერნანდო კორეა სავარაუდოდ ამ უქმეებზე ცხრათვიანი პაუზის შემდეგ მინდორს დაუბრუნდება. გასული წლის ივნისში, 31 წლის არგენტინელი კოკაინის მოხმარებაში ამხილეს და თორმეტთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, თუმც აპელციის შემდეგ კორეას სასჯელი სამი თვით შეუმცირეს. სამხრეთამერიკელმა ეგებ უკვე მომავალ უქმეებზევე ითამაშოს „ალბასეტესთან".

**რუსული ცსკა-ს პრეზიდენტ ევგენი გინერის ვაჟს თავს დაესხნენ. ვადიმ გინერის მანქანას ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ესროლეს, რის შედეგადაც, უმცროსი გინერი და მისი მძღოლი მსუბუქად დაიჭრნენ. პირველადი ვერსიით, ბოროტმოქმედები ორნი იყვნენ და მათ ვადიმის გატაცება სურდათ, თუმც ეს ინციდენტი მოსკოვურ კლანებს შორის გარჩევას უფრო ჰგავს.**

**ინგლისური** „ლივერპული" მომავალ ზაფხულს ალბათ კიდევ ერთ ესპანელს დაიმატებს. მერსისაიდელებმა ამჯერად „მალაგას" ნახევარმცველ ხუანიტოს დაადგეს თვალი. 24 წლის ფეხბურთელს ანდალუზიურ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და ჯერჯერობით მის გახანგრძლივებას არც აპირებს. შეგახსენებთ, რაფაელ ბენიტესის „ლივერპულში" მისვლის შემდეგ გუნდში უკვე ხუთი ესპანელია — ხოსემი, ხაბი ალონსო, ანტონიო ნუნიესი, ლუის გარსია და ფერნანდო მორიენტესი.

**ბერძნულ „პანათინაიკოსს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. ათენური კლუბი ნორვეგიელ სპეციალისტ ტრონდ სოლიედს ჩააბარეს. ეს უკანასკნელი „ბრიუგეში" მუშაობით არის ცნობილი. სოლიედმა ამ პოსტზე ზდენეკ შჩასნი შეცვალა, რომელსაც „ქსანთისთან" წაგება და ქვეყნის თასიდან გამოვარდნა არ აპატიეს. კლუბის ხელმძღვანელობამ სოლიედს საბერძნეთის ჩემპიონატის მოგება დაავალა.**

**სომხეთის** ნაკრების კაპიტანმა არუთუნ ვარდანიანმა სერიოზული ტრავმა მიიღო და დაახლოებით 6 თვე ველარ ითამაშებს. 35 წლის მცველი თავის კლუბთან, შვეიცარიულ „არაუსთან" ერთად კვიპროსში იმყოფებოდა შეკრებაზე და ერთ-ერთი ვარჯიშისას მუხლი დაიზიანა.

**იტალიური „რომას" ნახევარმცველი ამანტინო მანსინი მომავალ ზაფხულს ეგებ „რეალში" აღმოჩნდეს. ამბობენ, რომ ბრაზილიელს ლუიშ ფიგუს შემცვლელად მოიაზრებენ. პორტუგალიელს მადრიდულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და მხარეები მის გახანგრძლივებას ჯერჯერობით არ აპირებენ. თანაც, მანსინისადმი განსაკუთრებული სიმპათიით არიან განწყობილნი „რეალის" სპორტული დირექტორი არიგო საკი და მთავარი მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო.**

**ესპანური** „რასინგის" ხელმძღვანელობამ კლუბის მთავარი მწვრთნელი ლუკას ალკარასი დაითხოვა. იგი გასულ უქმეებზე „ვილიარეალთან" მარცხმა (1:2) შეიწირა. ახლა სანტანდერელები პრიმერადივიზიონში მე-18 ადგილზე არიან და ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი რეალური კანდიდატებიც არიან. კლუბს ჯერჯერობით ალკარასის ყოფილი თანაშემწე ნანდო იოსუ გაუძღვება.

**არგენტინელმა ნახევარმცველმა ხუან სებასტიან ვერონმა შესაძლოა, სანაკრებო კარიერა დაასრულოს. მას ეროვნული გუნდის ახალ თავკაცს ხოსე პეკერმანთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს. „პეკერმანს თავისი ხალხი ჰყავს ნაკრებში და განსხვავებული იდეებიც აქვს. მგონი, ჩემს გამოძახებას არც აპირებს. ამიტომ სანაკრებო კარიერის დასრულებაზეც ვფიქრობ. იმედია, ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებამდე რაიმე შეიცვლება და ამ ნაბიჯის გადადგმა არ მომიწევს" — თქვა ვერონმა.**

**იტალიური** „ფიორენტინას" დირექტორ ფაბრიციო ლუკეზის 30 ივნისამდე კლუბთან ერთად მოედანზე გასვლა აეკრძალა. ლუკეზი, „იების" სხვა ხელმძღვანელების მსგავსად, მსაჯობით არის უკმაყოფილო, რაც არაერთხელ უთქვამს კიდეც. გასულ უქმეებზე „სამპდორიასთან" მატჩის შესვენებისას იგი მსაჯების ოთახში შევარდა და მათ სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა. ლუკეზის დისკვალიფიკაციამ კიდევ უფრო გააბრაზა „ფიორენტინას" პრეზიდენტი დიეგო დელა ვალე, რომელმაც ფეხბურთში პოლიტიკის ზედმეტად შემოჭრაზე და მისი კლუბის განგებ ჩაგვრაზე ისაუბრა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

#### ინგლისი. პრემიერლიგა

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 1 | ევერტონი-ჩელსი | 4.2 | 3.3 | 1.8 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 18:00 | 2 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 3 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.85 | 3.2 | 4.1 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 18:00 | 4 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.1 | 3.3 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.3 |
| 20:15 | 5 | ბოლტონი-მიდლსბრო | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |

**13 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 6 | სიტი-მანჩესტერი | 4.2 | 3.3 | 1.8 | 1.84 | 1.25 | 1.16 |

**14 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 7 | არსენალი-კრ. პალასი | 1.2 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.77 |

#### ინგლისი. ჩემპიონატი

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 8 | კარდიფი-ბრაიტონი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 9 | ქოვენთრი-ბარნლი | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 10 | იფსვიჩი-ლესტერი | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 18:00 | 11 | ჯილინგემი-მილუოლი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 12 | ქპრ-პრესტონი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 13 | ლიდსი-რედინგი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 14 | სანდერლენდი-უოტფორდი | 1.65 | 3.3 | 5.0 | 1.1 | 1.24 | 1.98 |
| 18:00 | 15 | ქრიუ-უიგანი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 16 | პლიმუთი-როტერჰემი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

#### ინგლისი. I ლიგა

**11 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 19 | ბრისტოლი-უოლსოლი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 20 | ბორნმუთი-ოლდემი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 18:00 | 21 | სტოკპორტი-პორტ ვეილი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 22 | რექსემი-ტორკი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 23 | სუინდონი-ბარნსლი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 24 | უენსდი-ბრედფორდი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 25 | დონკასტერი-ჩესტერფილდი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 26 | ტრანმერი-კოლჩესტერი | 1.55 | 3.4 | 5.7 | 1.06 | 1.21 | 2.12 |
| 18:00 | 27 | დონსი-ჰადერსფილდი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 28 | ლუტონი-ჰალი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |

#### ინგლისი. II ლიგა

**11 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 31 | საუთენდი-სკანთორპი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 32 | რაშდენი-უიკომბი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |
| 18:00 | 33 | გრიმსბი-შრიუსბერი | -1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 18:00 | 34 | ლეიტონი-სუონსი | 2.65 | 3.2 | 2.4 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 18:00 | 35 | იოვილი-როვერსი | 1.6 | 3.4 | 5.3 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 18:00 | 36 | ბოსტონი-ბერი | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 37 | მენსფილდი-ჩელტენემი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 18:00 | 38 | კიდერმინსტერი-ჩესტერი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 39 | კემბრიჯი-მაკლსფილდი | 2.85 | 3.3 | 2.2 | 1.52 | 1.24 | 1.31 |
| 18:00 | 40 | ოქსფორდი-ნორთჰემპტონი | 2.15 | 3.2 | 3.0 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 41 | დარლინგტონი-ნოტსი | 1.6 | 3.4 | 5.3 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 18:00 | 42 | როჩდეილი-ლინკოლნი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

#### ინგლისი. კონფერენსი

**11 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 51 | კონვი-ნორთვიჩი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 43 | ექსეტერი-აკრინგტონი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 44 | მორიკომბი-ალდერშოტი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 45 | ფარნბორო-ბარტონი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 46 | უოკინგი-ქროული | 2.2 | 3.2 | 2.95 | 1.3 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 47 | სკარბორო-დაგ ენდ რედი | 2.2 | 3.2 | 2.95 | 1.3 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 48 | კარლაილი-გრეივსენდი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 18:00 | 49 | ბარნეტი-ჰერეფორდი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 18:00 | 50 | ტემუორთი-ლეი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 18:00 | 52 | ჰალიფაქსი-სტივენეიჯი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 53 | ფორესტ გრინი-იორკი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |

#### შოტლანდია. პრემიერლიგა

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 54 | ლივინგსტონი-დანდი იუნ. | 2.35 | 3.1 | 2.75 | 1.33 | 1.26 | 1.45 |
| 18:00 | 55 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 18:00 | 56 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 57 | დანდი-მოზერუელი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 58 | დანფერმლაინი-აბერდინი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |

**13 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 59 | ინვერნესი-სელტიკი | 9.5 | 5.0 | 1.2 | 3.27 | 1.06 | 1.0 |

#### შოტლანდია. I დივიზიონი

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 60 | პარტიკი-ერდრი | 2.15 | 3.4 | 2.7 | 1.31 | 1.19 | 1.5 |
| 18:00 | 61 | რეითი-კლაიდი | 4.2 | 3.5 | 1.65 | 1.9 | 1.18 | 1.12 |
| 18:00 | 62 | ფოლკირკი-ჰამილტონი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 18:00 | 63 | სტ.ჯონსტონი-ქუინი | 1.85 | 3.5 | 3.5 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 18:00 | 64 | როსი-სტ.მირენი | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |

#### შოტლანდია. II დივიზიონი

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 65 | არბროთი-ალოა | 2.8 | 3.3 | 2.1 | 1.51 | 1.2 | 1.28 |
| 18:00 | 66 | სტირლინგი-ეარი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 67 | სტრანრარი-ბერიკი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 18:00 | 68 | ბრეჩინი-დამბარტონი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 18:00 | 69 | მორტონი-ფორფარი | 1.6 | 3.6 | 4.5 | 1.1 | 1.18 | 2.0 |

#### შოტლანდია. III დივიზიონი

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 70 | კოუდენბითი-ალბიონი | 1.4 | 4.1 | 5.8 | 1.04 | 1.12 | 2.4 |
| 18:00 | 71 | ელგინი-ისტ ფაიფი | 2.1 | 3.3 | 2.85 | 1.28 | 1.2 | 1.52 |
| 18:00 | 72 | ისტ სტირლინგი-მონტროუზი | 2.9 | 3.2 | 2.1 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| 18:00 | 73 | სტენჰაუსმური-გრეტნა | 7.0 | 4.5 | 1.3 | 2.73 | 1.09 | 1.0 |
| 18:00 | 74 | ქუინზ პარკი-პიტერჰედი | 4.9 | 3.8 | 1.5 | 2.14 | 1.14 | 1.07 |

#### გერმანია. I ბუნდესლიგა

**12 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 75 | ვერდერი-გლადბახი | 1.6 | 3.6 | 5.2 | 1.1 | 1.22 | 2.12 |
| 17:30 | 76 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.6 | 3.6 | 5.2 | 1.1 | 1.22 | 2.12 |
| 17:30 | 77 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| 17:30 | 78 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.55 | 3.6 | 5.5 | 1.08 | 1.2 | 2.17 |
| 17:30 | 79 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.6 | 3.5 | 5.3 | 1.09 | 1.22 | 2.1 |
| 17:30 | 80 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 17:30 | 81 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |

**13 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 82 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.3 | 4.4 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 2.95 |
| 19:30 | 83 | არმინია-ბაიერნი | 5.0 | 3.5 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |

#### გერმანია. II ბუნდესლიგა

**11 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 85 | დინამო-აინტრახტი | 2.55 | 3.2 | 2.4 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 21:00 | 86 | ალემანია-უნტერჰახინგი | 1.55 | 3.4 | 5.7 | 1.06 | 1.21 | 2.12 |
| 21:00 | 87 | ობერჰაუსენი-კოტბუსი | 1.95 | 3.2 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |

**13 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 88 | ესენი-დუისბურგი | 2.8 | 3.2 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 17:00 | 89 | ალენი-აუე | 1.9 | 3.2 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 90 | ზაარბრიუკენი-ბურგჰაუზენი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 17:00 | 91 | ფიურტი-ტრირი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 17:00 | 92 | მიუნხენი-ერფურტი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 22:15 | 93 | კიოლნი-კარლსრუე | 1.35 | 4.2 | 7.0 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 94 | ლაციო-ატალანტა | 1.55 | 3.5 | 6.0 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 22:30 | 95 | ინტერი-რომა | 1.85 | 3.2 | 4.2 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 96 | ლივორნო-სამპდორია | 2.7 | 2.8 | 2.65 | 1.37 | 1.33 | 1.36 |
| 17:00 | 97 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.5 | 3.5 | 7.0 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 17:00 | 98 | ბრეშა-კალიარი | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 99 | ლეჩე-კიევო | 2.1 | 3.0 | 3.5 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 17:00 | 100 | სიენა-მესინა | 2.1 | 2.9 | 3.7 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 17:00 | 101 | ბოლონია-პალერმო | 2.25 | 2.9 | 3.35 | 1.26 | 1.34 | 1.55 |
| 17:00 | 102 | ფიორენტინა-პარმა | 2.2 | 2.9 | 3.35 | 1.25 | 1.32 | 1.55 |
| 22:30 | 103 | რეჯინა-მილანი | 5.0 | 3.1 | 1.75 | 1.91 | 1.29 | 1.11 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **11 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 106 | ტრიესტინა-არეცო | 2.4 | 2.7 | 3.05 | 1.27 | 1.34 | 1.43 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 107 | კროტონე-კატანძარო | 2.15 | 2.8 | 3.35 | 1.21 | 1.3 | 1.52 |
| 17:00 | 108 | ვერონა-ჩეზენა | 1.75 | 2.8 | 5.3 | 1.07 | 1.31 | 1.83 |
| 17:00 | 109 | სალერნიტანა-ემპოლი | 2.55 | 2.8 | 2.75 | 1.33 | 1.32 | 1.38 |
| 17:00 | 110 | ტერნანა-მოდენა | 2.25 | 2.7 | 3.3 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 17:00 | 111 | ჯენოა-პერუჯა | 1.75 | 2.9 | 5.0 | 1.09 | 1.29 | 1.83 |
| 17:00 | 112 | კატანია-ტორინო | 2.55 | 2.7 | 2.8 | 1.31 | 1.33 | 1.37 |
| 17:00 | 113 | პესკარა-ვენეცია | 1.85 | 2.9 | 4.3 | 1.12 | 1.29 | 1.73 |
| 17:00 | 114 | პიაჩენცა-ვიჩენცა | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 17:00 | 115 | ალბინოლეფე-ბარი | 2.25 | 2.7 | 3.35 | 1.22 | 1.34 | 1.49 |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 116 | ტრევიზო-ასკოლი | 2.1 | 2.7 | 3.7 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 137 | სარაგოსა-ბარსელონა | 4.2 | 3.3 | 1.8 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 23:45 | 140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.8 | 3.3 | 4.2 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:00 | 138 | ბილბაო-ბეტისი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 19:00 | 141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 19:00 | 142 | ნუმანსია-მალაგა | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 21:00 | 143 | ოსასუნა-რეალი | 4.0 | 3.4 | 1.8 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| 19:00 | 144 | რასინგი-სოსიედადი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 19:00 | 145 | სევილია-ვილიარეალი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 159 | ნანსი-დიჟონი | 1.55 | 3.3 | 6.0 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 160 | სტანდარდი-გენკი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 22:00 | 161 | სტ.ტრუიდენი-გენტი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 22:00 | 162 | ლუვიე-ლოკერენი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:00 | 163 | ბევერენი-მუსკრონი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 22:00 | 164 | ანდერლეხტი-ოსტენდე | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| 22:00 | 165 | ვესტერლო-ბრიუსელი | 1.55 | 3.6 | 5.3 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 166 | ბეერსხოტი-სერკლი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 17:00 | 167 | მონსი-ლიერსი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 22:00 | 168 | ბრიუგე-შარლერუა | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 178 | გრონინგენი-ვიტესი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 179 | როდა-ჰერენვენი | 2.05 | 3.3 | 3.3 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 21:30 | 180 | ალკმაარი-პსვ | 2.55 | 3.3 | 2.5 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 21:30 | 181 | როზენდალი-უტრეხტი | 2.5 | 3.3 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 22:00 | 182 | ტვენტე-ვალვაიკი | 1.85 | 3.4 | 3.8 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 14:30 | 183 | ბრედა-აიაქსი | 4.6 | 3.4 | 1.7 | 1.95 | 1.24 | 1.13 |
| 16:30 | 184 | დენ ბოსხი-გრააფსხაპი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 16:30 | 185 | ნაიმეგენი-დენ ჰააგი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 186 | ფეიენოორდი-ტილბურგი | 1.35 | 4.3 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 187 | ზვოლე-ვოლენდამი | 2.0 | 3.4 | 3.15 | 1.25 | 1.22 | 1.63 |
| 22:00 | 188 | ტელსტარი-ჰელმონდი | 2.25 | 3.4 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.48 |
| 22:00 | 189 | სიტარდი-ჰერაკლესი | 3.7 | 3.5 | 1.8 | 1.79 | 1.21 | 1.18 |
| 22:00 | 190 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 2.35 | 3.4 | 2.55 | 1.38 | 1.22 | 1.45 |
| 22:00 | 191 | მაასტრიხტი-ოსი | 2.3 | 3.3 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 22:00 | 192 | დორდრეხტი-კამბური | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 22:00 | 193 | ვენლო-ემენი | 1.45 | 4.0 | 5.8 | 1.06 | 1.15 | 2.36 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 16:30 | 194 | სპარტა-ექსელსიორი | 1.55 | 3.7 | 5.0 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 16:30 | 195 | აპელდორნი-იგლსი | 2.0 | 3.4 | 3.15 | 1.25 | 1.22 | 1.63 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **11 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 197 | ბელენენსეში-ეშტორილი | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 204 | ბრაგა-ბენფიკა | 2.55 | 3.2 | 2.5 | 1.41 | 1.26 | 1.4 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 198 | მორეირენსე-ჟილ ვისენტე | 2.2 | 3.1 | 3.1 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 199 | პენაფიელი-ლეირია | 2.35 | 3.1 | 2.8 | 1.33 | 1.27 | 1.47 |
| 19:00 | 200 | ბოავიშტა-მარიტიმუ | 1.85 | 3.2 | 3.9 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 19:00 | 201 | აკადემიკა-ნასიონალი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 21:00 | 202 | სპორტინგი-რიუ ავე | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 19:00 | 203 | ბეირა მარი-სეტუბალი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 23:15 | 205 | პორტუ-გიმარაეში | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 223 | ანკარაგიუჯიუ-კაისერი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 17:00 | 224 | რიზე-გალათასარაი | 4.2 | 3.4 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 17:00 | 225 | კონია-სამსუნი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 20:00 | 226 | ბეშიქთაში-დენიზლი | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 15:00 | 227 | საკარია-გაზიანთეფი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| 15:00 | 228 | ტრაბზონი-მალათია | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 15:00 | 229 | დიარბაქირი-სებათი | 1.4 | 4.2 | 6.0 | 1.04 | 1.13 | 2.47 |
| 17:00 | 230 | ანკარა-გენჩლერბირლიგი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| 20:00 | 231 | ფენერბაჰჩე-ისთანბული | 1.15 | 5.8 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.91 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 287 | ჰარტლპული-ბრენტფორდი | 1.9 | 3.2 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 288 | ფულემი-დერბი | 1.6 | 3.4 | 5.3 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 20:30 | 289 | ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 290 | შეფილდი-ვესტ ჰემი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | **შვეიცარია. თასი** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 16:30 | 291 | სტ.გალენი-აარაუ | 2.1 | 3.2 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| 16:30 | 292 | იანგ ბოიზი-თუნი | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| 16:30 | 293 | კიასო-ლუცერნი | 2.15 | 3.3 | 2.85 | 1.3 | 1.22 | 1.52 |
| 16:30 | 294 | ბელინცონა-ციურიხი | 3.25 | 3.2 | 1.95 | 1.61 | 1.21 | 1.21 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **11 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 295 | ნიცა-რეიმსი | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 16:30 | 296 | ალბი-ანჟე | 4.5 | 3.1 | 1.75 | 1.83 | 1.25 | 1.11 |
| 20:00 | 297 | ნიმი-აიაჩო | 4.0 | 3.2 | 1.8 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 22:00 | 298 | მეცი-სოშო | 2.45 | 2.8 | 2.85 | 1.3 | 1.31 | 1.41 |
| 22:00 | 299 | რენი-კაენი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 22:45 | 300 | ლილი-ლანსი | 1.8 | 3.0 | 4.3 | 1.12 | 1.26 | 1.76 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 20:15 | 301 | ტულუზი-ლიონი | 3.0 | 3.0 | 2.25 | 1.5 | 1.28 | 1.28 |
| 23:00 | 302 | პსჟ-ბორდო | 1.9 | 3.0 | 4.0 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 303 | რუსენბორგი-ესბიერგი | 1.5 | 3.6 | 5.3 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 18:00 | 304 | იურგორდენი-ვოლერენგა | 2.45 | 3.0 | 2.65 | 1.34 | 1.27 | 1.4 |
| 18:00 | 305 | ჰალმსტადი-ოდენსე | 1.95 | 3.2 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 306 | მალმიო-ბრანი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 307 | გიოტებორგი-ბრიონდბიუ | 2.2 | 3.1 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 19:05 | 308 | კოპენჰაგენი-ტრომსიო | 1.5 | 3.6 | 5.3 | 1.05 | 1.16 | 2.14 |

## საქართველოს ჩემპიონატი

# მესამე და სამართალი

## მოსეშვილი დინამოს კონტრშეუტევს



**ამ სეზონის** ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და სანახაობრივი მატჩი გასული წლის 19 დეკემბერს გაიმართა „დინამოსა" და „ავიამშენს" შორის. მაშინ ვიცე-ჩემპიონებმა შიო ხეცურიანის სირენის თანხლებით ჩაგდებული სამქულიანით მოიგეს. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გუნდების ყოველი შეხვედრა საინტერესო იქნება და ერთ-ერთ მათგანს ვერის ბაღი დღეს უმასპინძლებს. „დინამო" ცხრილის სათავეშია. ქულით ნაკლები აქვს და მესამე საფეხურზეა „ავიამშენი", რომელმაც თუ იმარჯვა, ლიდერობას დაიბრუნებს. საამმატჩო პრესკონფერენციას კაფე „მსოფლიო სპორტმა" უმასპინძლა. დასაწყისში კი ისევ ზაზა მაჩალაძის მდგომარეობის შესახებ გაკეთდა განცხადება.

„მაჩალაძის მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება. ის ჯერაც უგონოდაა, თუმც თვალი წამიერად გაახილა, რაც ექიმებს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს — თქვა ფედერაციის პრესატაში ზურაბ თალაკვაძემ — სავარაუდოდ, მას მალე რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანენ და სარეაბილიტაციო პერიოდიც დაიწყება."

მწვრთნელთაგან პირველად სიტყვა ზურაბ ტომარაძეს ერგო, რომელსაც „დინამოს" მზადყოფნაზე დაეკითხნენ...

— გუნდში საკმარისზე მეტი ტრავმირებული გვყავს. სხვადასხვა მიზეზით ათი მოთამაშეა მწყობრიდან გამოსული. ვერ დაგვეხმარება ლაშა გამყრელიძე და სავარაუდოა, რომ არც შიო ხეცურიანმა ითამაშოს. მას 12 დღეა, არ უვარჯიშია და ოპტიმალურ ფორმაში არ იმყოფება. ფეხი აწუხებს ბუბა კვიმსაძეს, თუმც ახლა ტრავმირებულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, იმის რესურსი მაინც გვაქვს, რომ „ავიამშენს" არაფერი დავუთმოთ. „დინამო" გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლებს.

**ლევან მოსეშვილი, „ავიამშენის" მთავარი მწვრთნელი:** ტრავმირებულები ჩვენც გვყავს, კახა შენგელიამ მენისკის ოპერაცია გაიკეთა, მამუკა აბრამიძე კი, მოგეხსენებათ, ავტოკატასტროფში მოყვა და ჯერაც ცუდადაა. მას თავის ტრავმა აქვს და ამ სეზონში ეგებ ვერც დაგვიბრუნდეს. ამიტომაც დავით დოლიძე დავიმატეთ, რომელიც „ბურჯში" თამაშობდა და საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს. ის ხვალ განაცხადში გვეყოლება და ვნახოთ, ეგებ გამოვიყენოთ კიდეც.

**— „დინამომ" ორივე მატჩი მოგიგოთ ამ სეზონში და ახლა ალბათ ნავსის გატეხვას ეცდებით...**

— მესამე და სამართალიო, ნათქვამია და ჩვენც, ცხადია, მოგებას შევეცდებით. ისე კი, „დინამოს" დამარცხება ძალიან რთული საქმეა, რადგან ეს გუნდი საკმაოდ კარგად თამაშობს დაცვაში და ცხრილში რომ პირველ ადგილზეა, სწორედ ამის დამსახურებაა. ვეცდებით, ჩვენი კოზირი, სიმაღლე გამოვიყენოთ და ამავდროულად, დინამოელებს კონტრშეტევების განხორციელებაში შევუშალოთ ხელი.

**გიორგი ნიკოლაძე, „ავიამშენის" გამთამაშებელი:** „დინამოსთან" ურთულესი მატჩი გველის, მერე რა, რომ ტრავმირებულები ჰყავთ. ლაშა გამყრელიძემ წინა მატჩებში კარგად ითამაშა ჩვენს წინააღმდეგ და მინდოდა, ის ხვალაც ყოფილიყო და ასე მოგვეგო... მთავარია, შიო ხეცურიანს არ ვასროლინოთ ბოლო ბურთი და მოვიგებთო, ნიკოლაძის სიტყვებს ხუმრობით გამოეხმაურა „ავიამშენის" თავკაცი ლევან მოსეშვილი.

მატჩი კი 14 საათზე იწყება.

**ირაკლი პერტაია**

# სანიკიძემ დიჟონი დაიცვა



**ვიქტორ** სანიკიძის „დიჟონმა" ოთხშაბათ საღამოს გადამწყვეტი მატჩი მოუგო ბელგიურ „პეპინსტერს" და ფიბა-ევროლიგის B ჯგუფიდან გავიდა. დიჟონელებმა წინდაწინ იცოდნენ, რომ მათმა მოცილე „ბრაუნშვაიგმა" უკრაინაში „აზოვმაშთან" წააგო და ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება ხელს აძლევდათ. მათაც მოინდომეს, ბელგიელები 82:74 დაამარცხეს და რაც ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნოა, ამ საქმეში არცთუ მოკრძალებული წილი 19 წლის ქართველმა უნივერსალმა ვიქტორ სანიკიძემ დაიდო.

„ვიკა" სიმაღლით 202 სანტიმეტრია და მისი თამაშისთვის რომ შეგახედათ, რომელიმე კონკრეტულ ამპლუას ვერ მიუსადაგებთ. მას თითქმის ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში: გამთამაშებლიდან დაწყებული, მეფარეობით დამთავრებული. ამიტომაცაა, სანიკიძე ერთ მატჩში რომ 12 მოხსნას გაახერხებს, მეორეში შესაძლოა, ორს დასჯერდეს და მაინც ქება დაიმსახუროს. დაახლოებით ასეთი რამ მოხდა „პეპინსტერთან" ამ გადამწყვეტ მატჩში, „ვიკამ" ოდენ 5 ქულა და 2 მოხსნა მოაქუჩა, თუმც დიჟონელთაგან მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

„მწვრთნელმა ერთადერთი დავალება მომცა, „პეპინსტერის" ლიდერი ალექსანდრ ზიჩევიჩი გამენეიტრალებინა, რომელიც თითოეულ მატჩში საშუალოდ 23 ქულას აგროვებს — გვითხრა სანიკიძემ დიჟონიდან — შეტევაში თამაშს არ გთხოვ, ეგ კაცი აიყვანე და ეცადე, რაც შეიძლება, ნაკლები ქულა ჩააგდებინოო, მითხრა მწვრთნელმა. იქიდან გამომდინარე, რომ მოედანზე 26 წუთი გავატარე, შემიძლია ვთქვა, ცუდად არ მითამაშია. პირადად მე კმაყოფილი ვარ ჩემი თამაშით და მატჩის შემდეგ მწვრთნელმაც შემაქო."

ეს ის მწვრთნელია, ფიბა-ევროლიგის წინა ტურში სანიკიძე პერმში „ურალ გრეიტთან" მხოლოდ 6 წუთი რომ ათამაშა. „ვიკა" მაშინ გაოცებული იყო, ნორმალურად ვთამაშობდი და მაინც გამიყვანეს მოედნიდანო.

„პეპინსტერის" ლიდერმა ზიჩევიჩმა საბოლოოდ მაინც მოახერხა ბლომად ქულების (17) ჩაგდება, მაგრამ ძირითადად იმ ეპიზოდებში შეაგროვა, როცა სანიკიძე მოედანზე არ გახლდათ. „ზიჩევიჩი კარგი მოთამაშეა და მის მოურვეობას დიდი ძალები შევალიე. მან მაინც მოახერხა ქულების მოგროვება, მაგრამ ის ძირითადად მაშინ აგდებდა ბურთებს, როცა მოედნიდან დასასვენებლად გავდიოდი. თავის ქება არაფერ შუაშია, იმას ვამბობ, რაც სინამდვილეში მოხდა."

„დიჟონი" ჯგუფიდან კი გავიდა, მაგრამ მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე რომ მოხვდეს, თურქული „თუბორგის" საპლეიოფო სერიაში დამარცხება მართებს. სერია ორ მოგებამდეა და გამარჯვებული იმ ქვეჯგუფში გავა, რომლიდანაც უკვე ოთხთა ფინალში მოხვედრა იქნება შესაძლებელი. საკუთრივ ოთხთა ფინალს კი პერმი უმასპინძლებს, ვისი „ურალ გრეიტიც" ფიბა-ევროლიგას უკვე გამოემშვიდობა. პერმელები „დიჟონის" ჯგუფში იყვნენ და მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდნენ.

**ირაკლი პერტაია**

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი, თბილისის „დინამოს" ყოფილი წევრი

**ბესო გოგელია**

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს

# ALL STAR 2005

20 თებერვალი. დენვერი. „პეპსი სენტერი"



ჯილბერტ არენასმა „ვაშინგტონი" ოლ სტარში დააბრუნა

# ვარსკვლავები ჩამოწერეს

**გულშემატკივართა** საინტერნეტო გამოკითხვის შემდეგ მწვრთნელთა ჯერი დადგა და ნბას 30 გუნდის თავკაცმა „ყველა ვარსკვლავის" მატჩისთვის 7-7 აღმოსავლელი და დასავლელი სათადარიგო შეარჩია.

24 ვარსკვლავში 7 ოლ სტარის ახალბედაა, ამათგან ორი ვაშიგტონელია და თამამად შეგვიძლია, დედაქალაქებს დიდებში დაბრუნება მივულოცოთ. ვარსკვლავებში გარეული ბოლო ვაშინგტონელი კრის ვებერი გახლდათ, რომელმაც 1997 წელს გაიბრწყინა, ხოლო ამ ქალაქის ერთბაშად ორი წარმომადგენლისთვის 1987 წლის შემდეგ არ დაუდგამთ თვალი. მაშინ ეს პატივი ხვდათ დიად მოზეს მელოუნსა და მის შედარებით უსახელო მოგვარე ჯეფს.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: თუ ვირჯინიის კუნძულებზე დაბადებულ, ოღონდ დღეს აშშ-ს მოქალაქე ტიმ დანკანს უცხოელად ჩავთვლით, წლევანდელი ოლ სტარი ერთბაშად ექვს არაამერიკელს კრებს — ლიტველ ილგაუსკასს, გერმანელ ნოვიცკის, კანადელ ნეშს, არგენტინელ ჯინობილისა და ჩინელ მინგს, ეს კი 2003 წელს დამყარებული და 2004-ში გამეორებული რეკორდის კიდევ ერთხელ გამეორებაა.

ოლ სტარების უხუცესი გახლავთ შაკილ ონილი, რომელიც, აგერ, მეთორმეტედ აირჩიეს, თუმც კი წინა 11 ოლ სტარიდან მან სამი გამოტოვა ტრავმების გამო და ახლა თვის „მხოლოდ" მე-9 ვარსკლავურ მატჩს გამართავს.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| **სასტარტო ხუთეული** | **სასტარტო ხუთეული** |
| ალენ აივერსონი (ფილადელფია, 6) | კობი ბრაიანტი (ლეიკერსი, 7) |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი, 1) | ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი, 5) |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი, 6) | კევინ გარნეტი (მინესოტა, 8) |
| გრანტ ჰილი (ორლანდო, 7) | ტიმ დანკანი (სან ანტონიო, 7) |
| შაკილ ონილი (მაიამი, 12) | იაო მინგი (ჰიუსტონი, 3) |
| **სათადარიგოები** | **სათადარიგოები** |
| დუეინ ვეიდი (მაიამი, 1) | სტივ ნეში (ფინიქსი, 3) |
| ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი, 1) | რეი ალენი (სიეტლი, 5) |
| პოლ პირსი (ბოსტონი, 4) | მანუ ჯინობილი (სან ანტონიო, 1) |
| ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი, 1) | შონ მარიონი (ფინიქსი, 2) |
| ბენ ვოლესი (დეტროიტი, 3) | რაშარდ ლუისი (სიეტლი, 1) |
| ჯერმენ ონილი (ინდიანა, 4) | დირკ ნოვიცკი (დალასი, 4) |
| ჟიდრუნას ილგაუსკასი (კლივლენდი, 2) | ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი, 1) |
| **მწვრთნელი:** სტენ ვან განდი (მაიამი) | **მწვრთნელი:** გრეგ პოპოვიჩი (სან ანტონიო) |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

8 თებერვალი

**მილუოკი 121:97 ბოსტონი**

**მილუოკი:** უილიამსი (7), რედი (17), მეისონი (11 ქულა, 10 მოხსნა), სმიტი (12), გაძურიჩი (10); ჯეიმსი (28), **ფაჩულია** (12 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი), კუკოჩი (8), ვან ჰორნი (8), სტრიკლენდი (6), სანტიაგო (4), ჰამილტონი (2)

**ბოსტონი:** პეიტონი (9), ალენი (7), პირსი (7), ლაფრენცი (13), ბლუნტი (8); ველში (11), დევისი (11), ბანქსი (10), გულიოტა (4), ვესტი (2), პერკინსი (2)

**დენვერი 97:87 იუტა**

**დენვერი:** ენტონი (25), ბოიკინსი (20), მარტინი (17), მილერი (9 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), კემბი (8 ქულა, 14 მოხსნა, 7 დაფარება, 5 პასი)

*ცქიტიშვილი* სათადარიგო იყო

**იუტა:** ოქური (21 ქულა, 10 მოხსნა), ბელი (16), ჰარპრინგი (15)

**ორლანდო 109:113 გოლდენ სტეიტი**

**ორლანდო:** ჰილი (28), ფრენსისი (21)

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (32 ქულა, 10 მოხსნა), ფიშერი (25)

**დალასი 100:107 ჩიკაგო**

**დალასი:** ნოვიცკი (27 ქულა, 12 მოხსნა), ტერი (25), ფინლი (16)

**ჩიკაგო:** დენგი (30 ქულა, 11 მოხსნა), კარი (23), გორდონი (16)

**საკრამენტო 123:125 ფინიქსი**

**საკრამენტო:** ბიბი (27), ვებერი (24 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა), მობლი (23), სტოიაკოვიჩი (20)

**ფინიქსი:** ნეში (33 ქულა, 17 პასი), ჯონსონი (28), სტუდემაიერი (22), მარიონი (19 ქულა, 16 მოხსნა)

**სიეტლი 108:91 ნიუ ორლეანი**

**სიეტლი:** ალენი (26), რადმანოვიჩი (18), რიდნორი (16)

**ნიუ ორლეანი:** ჯეკობსენი (21), დიკაუ (17), სმიტი (16)

**მემფისი 108:96 მინესოტა**

**მემფისი:** რაიტი (18 ქულა, 12 მოხსნა), სვიფტი (18)

**მინესოტა:** გარნეტი (24), შჩერბიაკი (19), სპრიუელი (17)

**კლივლენდი 104:91 ტორონტო**

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (23), მაკინისი (17), ჯეიმსი (15 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), ტრეილორი (15 ქულა, 13 მოხსნა)

**ტორონტო:** როუზი (21), პიტერსონი (16)

**შარლოტი 85:104 სან ანტონიო**

**შარლოტი:** კაპონო (17)

**სან ანტონიო:** პარკერი (20), ნესტეროვიჩი (15), ბრაუნი (15)

# თეირანული სამაია

## ქართველები ირანიდან ოქროს ეზიდებიან

**იანვრის** ბოლოს თეირანში ჩატარებულ აზიის ქვეყნებისა და ისლამური დედაქალაქების ქალთა თამაშებზე მოგებულ ორ ოქროს მედალს ამ დღეებში იულია დუბინამ და მარიამ ქევხიშვილმა კიდევ სამი წაამატეს. 8-9 თებერვალს ქართველმა მძლეოსნებმა ირანის ღია ჩემპიონატიც წარმატებით ჩაამთავრეს.

პირველი მედალი დუბინამ პირველივე დღეს მოიპოვა სირგძეზე ხტომაში, თან 6,12 მეტრით საქართველოს ზამთრის რეკორდი დაამყარა. გაგიკვირდებათ და, წინა რეკორდი ჯერ კიდევ 1979 წელს დაამყარა ოლგა ვერშინინამ (6 მეტრი). აქვე შეგახსენებთ, რომ ისლამურ თამაშებზე იულიამ საქართველოს ზამთრის რეკორდი სამხტომშიც გააუმჯობესა. დუბინამ ოქროს ფასი სამმაგი ნახტომი გუშინაც შეასრულა — 13,26 მეტრი.

თავისი წილი ოქრო ქართულ ყულაბაში ქევხიშვილმაც ჩაუშვა. მან ბირთვი 15,35 მეტრზე ჰკრა, ხოლო ასევე ბირთვისმკვრელმა მამუკა ტულუშმა 16,63 მეტრით მეხუთე ადგილი დაიკავა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



იულია დუბინა



მარიამ ქევხიშვილი

# კეტი ფრიმენიც ბრუნდება

**სიდნეის** ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში ავსტრალიელი აბორიგენი კეტი ფრიმენი, რომელმაც ამ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ცეცხლი ააგიზგიზა, 2003 წელს სარბენ ბილიკებს გამოეთხოვა.

ეტყობა, ფრიმენს მოენატრა იქ გამართული ბრძოლები და სარბენ ბილიკებზე დაბრუნება განიზრახა.

ამბობს, მინდა დავუბრუნდე შეჯიბრებს და მხოლოდ ქვეყნის შიდა პირველობებზე გამოვიდეო. იგი ამას 4X400 მეტრზე ესტაფეტაში აპირებს.

ახლა მე ინდივიდუალურზე უფრო გუნდური შეჯიბრებები მიზიდავს და ეს ჩემთვის საკმარისი მოტივაცია, რათა კიდევ ერთხელ ვცადო ჩემი ძალაო — თქვა ფრიმენმა.








სოკ-ის კომისის წევრები და განხეთქილების ერთი ვაშლი, უკაცრავად, ბურთი „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე

# ბურთები, რომლებიც განხეთქილების ვაშლებად იქცნენ

## მადრიდში ბურთებს კუდები გამოაბეს

მართალია, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელმა კომისიამ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის მებრძოლი ხუთი ქალაქი-კანდიდატიდან პირველი უკვე მოინახულა, მაგრამ იმ ვიზიტთან დაკავშირებით ვნებათაღელვა და კულისებში თუ კულისებს გარეთ კვლავაც გრძელდება.

მადრიდში ჩასულ კომისიის წევრებს და მათ მასპინძლებს ათასი თვალი აკვირდებოდა, ემანდ ვინმემ რაიმე ფორმით ქრთამი არ აიღოს და შესთავაზოსო.

მას შემდეგ, რაც სოკ-ში სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული მექრთამეობის ამბავი ძალზე გახმაურდა, პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ათასი თვალი და ყური გამოიბა და ყველაფერს გაფაციცებით აკვირდება. სკანდალისა და ათასი ხათაბალის შიშით სოკ-ელებს საჩუქრად უბრალო, ჩვეულებრივი სუვენირის მიღებაც კი აშინებთ, აქაოდა ამას ათას კუდს გამოაბამენო.

და გამოაბეს კიდეც...

ეტყობა, მადრიდში ჩასულ კომისიის წევრებს დაავიწყდათ, რომ მათ კატეგორიულად ეკრძალებათ საჩუქრების მიღება ან სხვათა დასაჩუქრება. ასე იყო თუ ისე, მათ მადრიდის რეალის სახელგანთქმულ „სანტიაგო ბერნაბეუზე" საჩუქრად ბურთები დაახვედრეს და ეს ბურთები ლამის განხეთქილების ვაშლებად იქცნენ.

კომისიის წევრები ამ სტადიონზე ორჯერ მივიდნენ: ჯერ ოფიციალური რევიზიის ჩასატარებლად, მეორედ კი საფეხბურთო მატჩზე. სწორედ მატჩის შემდეგ „რეალის" ფეხბურთელებმა სოკ-ელებს საჩუქრად საფეხბურთო ბურთები მიართვეს. ბოლოს, როცა სოკ-ის კომისიამ მადრიდში ვიზიტის დასასრულს პრესკონფერენცია გამართა, სტუმრებს ჰკითხეს, იმ ნაჩუქარ ბურთებს თქვენი კომისიის წევრთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ხომ არ აფასებთო. ამაზე კომისიის წევრები შეცბუნდნენ და თქვეს, ეს მხოლოდ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი სუვენირები იყოო.

ასე იყო თუ ისე, „რეალის" ფეხბურთელთა საჩუქრებს კომისიის წევრებზე გავლენა, რა თქმა უნდა, არ მოუხდენია — მადრიდი ხუთ პრეტენდენტ ქალაქ შორის როგორც იყო მესამე ადგილზე, ისევ იმავე მესამე ადგილზე დარჩა. ყოველ შემთხვევაში, წამყვანი საბუკმეიკერო კანტორების მონაცემებით ასეა.

ამ მონაცემებით დიდი უპირატესობით ლიდერობს პარიზი, რომლის კოეფიციენტი 1,4-ია. მეორე ადგილზეა ლონდონი (კოეფიციენტი — 3), მეოთხე საფეხურია უკავია ნიუ იორკს (14), ხოლო მათ მოსკოვი უსაშველოდ ჩამორჩება (40).

**ავთანდილ ჭყვიშელი**



სოკ-ის კომისიის მეთაურ ნავალ ელ მუტავაკელეს მადრიდული ბურთი ლამის საშაროდ ექცა



# ქალია თუ კაცია, ძნელი გასარჩევია

## აბა, ქალთა გასახდელში მნახეთ, ვინა ვარ

**„სარბიელის"** მკითხველი სპორტში კარგად ჩახედული ხალხია, ბევრი უნახავთ და ბევრიც წაუკითხავთ, მაგრამ იმისთანა რამ, რაც ახლა უნდა მოგითხროთ, არა გვგონია, ვინმეს გაეგონოს.

ზიმბაბველი მძლეოსნის წინააღმდეგ, რომელიც სირბილში, ბირთვის კვრაში, შუბის ტყორცნასა და სამხტომში ეჯიბრებოდა ხოლმე თვისტომთ, სისხლის სამართლის საქმე აღძრა სასამართლომ.

დოპინგი თუ გაიფიქრეთ, ეს აქ არაფერ შუაშია. საქმე ის გახლავთ, რომ ზიმბაბველი ქალთა შორის ჩატარებულ ტურნირებზე მონაწილეობდა. მერე რა? რა და ის, რომ მამაკაცი ყოფილა.

სპორტული აფერისტობაც ამას ჰქვია. კარგა ხანს იტყუებოდა თურმე, ჰერმაფროდიტი ვარო, მაგრამ ბოლოს სხვა სპორტსმენ ქალებს ყელში ამოუვიდათ გასახდელში მისი მამაკაცური ღირსებების ცქერა და სასამართლოში იჩივლეს, ავადმყოფობის ამას არაფერი ეტყობა, კაცია მთელი თავისი ავლადიდებით.

თავად სპორტსმენი აცხადებს — რომ დაკიბადე ორივე სქესისთვის დამახასიათებელი სასქესო „ალჭურვილობა" მქონდა, მაგრამ სოფლის შამანმა მითხრა ქალი ხარო.

არადა, შამანებზე უკეთესად განსწავლულ ექიმთა სამედიცინო დასკვნამ აჩვენა, რომ ეს კაცი კაცია და ქალობასთან არანაირი კავშირი არა აქვს.

რატომ აკეთებდა ზიმბაბველი თაღლითი ამ ყველაფერს, ვერ გეტყვით. ორში ერთია, ან უკეთესი შედეგების მისაღწევად ქალებთან გაჯიბრება სურდა, ანაც უბრალოდ მათ გასახდელში ყოფნა ეხალისებოდა.

**ლადო ფულუკიძე**

ბრებემები მე-19 საუკუნის მიწურულს გადასახლდნენ ავსტრალიაში ლონდონიდან. ჯეკ (ჯონ არტურ) ბრებემი მემწვანილის შვილი იყო და ალბათ მამის გზა-კვალს გაჰყვებოდა, ტექნიკისადმი არაჩვეულებრივი სიყვარული რომ არ ჰქონოდა. უკვე სკოლაში გამოირჩეოდა ყოველივე იმის ჩინებული ცოდნით, რაც ავტომობილებთან იყო კავშირში. 12 წლისა ოჯახის მანქანის საჭეს უჯდა, ხოლო 15 წლიდან გარაჟში მექანიკოსად მუშაობდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჯეკი „ბოფაიტერის" ტიპის ბომბდამშენ-ავიაგამანადგურებლების ტექნიკოსად მსახურობდა, დემობილიზაციის შემდეგ კი ძრავების სარემონტო სახელოსნოში გააგრძელა საქმიანობა. სწორედ მაშინ დაუახლოვდა ამერიკელ მრბოლ ჯონი შომბერგს და თავისი ხელით აუწყო 1350 კუბურ სანტიმეტრიანი მოცულობის მძლავრი ძრავა, რომელმაც ჯონს არაერთი წარმატება მოუტანა. როცა შომბერგმა რბოლებს თავი დაანება, ჯეკმა განაგრძო და პირველივე წელს ახალი სამხრეთ უელსის ჩემპიონი გახდა. მერე სამთო რბოლებმა გაიტაცა და არც იქ დარჩენილა ხელცარიელი — 1953 წელს მწვანე კონტინენტის პირველობა მოიგო. იმხანად გაიცნო და დაუმეგობრდა თავისკბილა და თავისნაირ ავტოფანატიკოსს, სიდნეელ რონ ტორანაკს. კარგა ხანს ერთად დაჯირითობდნენ საკუთარი კონსტრუქციის მანქანებით და მერეც ერთად იყვნენ, როცა ბრებემი უფრო დიდ საქმეს შეეჭიდა, საფორმულო საჯინიბოს შექმნა გადაწყვიტა. რას წარმოიდგენდნენ დღედაღამ ნახაზებსა და ბოქსებში მოკირკიტე თანამოაზრე-კომპანიონები, რომ წვალებით დაბადებული მათი პირმშო „სამეფო რბოლების" ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გახდებოდა.

ჯეკმა შემდეგ ფორმულა-2 კლასის „კუპერ ბრისტოლი" იყიდა და ორი წელი წარმატებით დაქროდა ავსტრალიის და ახალი ზელანდიის ტრასებზე. ოსტატობაც აიმაღლა, გამოცდილებაც დაუგროვდა და ევროპაში, კერძოდ, ინგლისში ძალების მოსასინჯად გაემგზავრა.

წინაპრების სამშობლოში ბრებემს დრო უქმად არ დაუკარგავს. მალე გაითქვა სახელი ბოლომდე მებრძოლი ხასიათით და მანქანის მართვის ორიგინალური, თავისი „საფირმო" მანერით — მოსახვევებს პრაქტიკულად სისწრაფის დაუგდებლად, კუდის მსუბუქად მოსრიალებით გადიოდა. ნიჭიერი, უნიკალური პროფესიონალი, რომელიც ერთდროულად პილოტი-გამომცდელიც იყო და ინჟინერ-მექანიკოსიც, ჩარლზ და ჯონ კუპერებმა თავიანთ საფორმულო ფირმაში მიიწვიეს. ჯეკმა და მასზე სამი წლით უფროსმა ჯონმა უცებ გამონახეს საერთო ენა და დამეგობრდნენ კიდეც. ჯეკი მეუღლე ბეტისთან ერთად ფაქტობრივად კუპერების ოჯახში ცხოვრობდა.

# F1 სამეფო რბოლების ლეგენდა 5

## სერ ჯეკ ბრებემი



დაიბადა 1926 წლის 2 აპრილს ჰურსტვილში, ახალი სამხრეთ უელსი (ავსტრალია)

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1995-1970 წლებში

მსოფლიოს სამგზის (1959, 1960, 1966) ჩემპიონი

1967 წლის ვიცე-ჩემპიონი

მოიგო 14 დიდი პრიზი: საფრანგეთის (3), დიდი ბრიტანეთის (3), ჰოლანდიის (2), თითოც მონაკოს, ბელგიის, გერმანიის, პორტუგალიის, კანადის და სამხრეთ აფრიკის

126 რბოლა, 31 პოდიუმი, 13 პოული, 12 უსწრაფესი წრე, 2 დიდი სლემი, 261 ქულა

გუნდები: „კუპერი" (1955-61), „მაზერატი" (1956), „ლოტუსი" (1962,63), „ბრებემი" (1962-70)

1979 წელს „სერის" წოდება უბოძეს

**„ბლეკ ჯეკ" ბრებემი ერთადერთი პილოტია ავტორბოლის ისტორიაში, ვინც მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა საკუთარი კონსტრუქციის მანქანით (1966).**

**„შავი ჯეკი" მას კუპრივით შავი თმისა და ნაბლისფერი თვალების გამო შეარქვეს. კიდევ იმიტომაც, რომ სიტყვაძუნწი, ფრთხილი, ყოველი ნაბიჯის ასჯერ გამზომი, გარშემო მყოფთათვის მუდამ გამოუცნობ საიდუმლოდ რჩებოდა. მართლაც დიდი ოსტატი იყო, ნიჭიერი ინჟინერიც, საქმისადმი უერთგულესი და ტრასაზე მელასავით ეშმაკი, ავტოსაქმეში ძირისძირობამდე გარკვეული. ერთი სიტყვით, ჰქონდა ყველა თვისება ბრწყინვალე კარიერის შესაქმნელად. აკი შეძლო კიდეც.**

**ჯეკ ბრებემი 16 წელი დაქროდა საფორმულო ტრეკებზე. მასზე მეტხანს მხოლოდ იტალიელ რიკარდო პატრეზეს (17 სეზონი) და ინგლისელ ორგზის ჩემპიონ გრემ ჰილს (18) ურბოლიათ. ავსტრალიელი გენიოსი 44 წლისა ჩამოშორდა საყვარელ საქმეს მსოფლიოს სამგზის ტრიუმფატორის რანგში.**

**ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნის წინაშე უდიდესი დამსახურებისთვის ბრებემს „სერის" ტიტული უბოძეს. ამ უმაღლესი წოდების ღირსნი მის გარდა გახდნენ სამგზის ჩემპიონი ჯეკი სტიუარტი, ოთხგზის ვიცე-ჩემპიონი სტირლინგ მოსი და გენიალური კონსტრუქტორ-მენეჯერი ფრენკ უილიამსი**

ბრებემი „კუპერის საავტომობილო კომპანიაში" კონსტრუქტორადაც მუშაობდა და მამა-შვილის ბოლიდითაც დაჯირითობდა. ეგაა, 1955-56 წლებში მხოლოდ თითოჯერ გავიდა სტარტზე, პირველი სრული ჩემპიონატი კი 1958 წელს ჩაატარა, თუმც ცხრა რბოლაში მხოლოდ სამი ქულის მოპოვება შეძლო.

სამაგიეროდ, მომდევნო სეზონისთვის „შავ ჯეკს" ისეთი სუპერმანქანა დაუმზადეს — „კუპერ T51", რომელმაც გადატრიალება მოახდინა საფორმულო სამყაროში. ამ მოდელის კონსტრუქციაში რამდენიმე რევოლუციური სიახლე იდო, ბოლიდი დაბალი, მიწაზე გართხმული იყო — დღევანდელ ფორმულას მიმსგავსებული. ძრავა ცხვირიდან კორპუსის უკანა ნაწილში გადაიტანეს. მოტორი საგრძნობლად მოდერნიზებული „კოვენტრი-კლიმა" იყო — ხუთსიჩქარიანი, 240 ცხენის ძალით, თუმც „ფერარის" მაინც ბლომად, 50 „ცხენით" ჩამორჩებოდა. მიუხედავად ამისა, საერთო უპირატესობას „კუპერი" ფლობდა, რადგან მანქანა იტალიურზე გაცილებით მსუბუქი, მკვირცხლი და საიმედო გამოვიდა.

შედეგმაც არ დააყოვნა. ბრებემმა, სტირლინგ მოსმა და ბრიუს მაკლარენმა რვიდან ხუთი ეტაპი მოიგეს და ბრიტანულ საჯინიბოს გუნდური, ანუ კონსტრუქტორთა თასი მოუპოვეს.

პირადი ტიტულის მფლობელი ფლორიდაში (აშშ) „სებრინგის" აეროდრომზე მოწყობილ ტრასაზე სეზონის დასკვნით რბოლას უნდა გამოევლინა. ბრებემი ხუთნახევარი ქულით უსწრებდა მოსს, რვით — ფერარელ ტონი ბრუქსს და ერთი შეხედვით მშვენიერი საჩემპიონო შანსიც ჰქონდა, მაგრამ საგრძნობლად ნერვიულობდა, რადგან სტარტზე სწორედ მოსის უკან იდგა და მარცხის შემთხვევაში მთელი წლის ნაწვალებ-ნაგროვები წყალში ჩაეყრებოდა. თანაც ორიოდე დღით ადრე ნასაუში რბოლისას წინა მანქანის ბორბლებიდან ასხლეტილმა კენჭმა დამცავი სათვალე გაუტეხა და თვალი ისე აწუხებდა, რომ ექიმებმა სტარტის წინაც დაუმუშავეს.

სტარტიდანვე მოსი, ბრებემი და მაკლარენი გავარდნენ წინ და მალე საგრძნობლად ჩამოიტოვეს ბრუქსისა და ვოლფგანგ ფონ ტრიპსის „ფერარები". მას შემდეგ, რაც მოსის მანქანას სიჩქარეთა კოლოფი მოეშალა, ჯეკი გალიდერდა, მაგრამ ბოლო წრეზე საწვავი გაუთავდა და რამდენიმე ასეული მეტრი ბოლიდს ხელით მიაგორებდა. ოფლისგან ვერაფერს [illegible] ხები ეკეცებოდა, [illegible] ფინიშის ხაზი მეოთხემ გადაკვეთა და იქვე ლამის გულშეღონებული დაეცა.

ეს სამი ქულა გადამწყვეტი იქნებოდა ბრებემისთვის, რბოლა ბრუქსს რომ მოეგო, მაგრამ მას მაკლარენმა და მორის ტრინტინიანმა („კუპერი") მიასწრეს. ერთი სიტყვით, „შავმა ჯეკმა" 1959 წელს ორი დიდი პრიზი მოიგო (ბრიტანეთის და მონაკოსი), კიდევ სამჯერ შედგა პოდიუმზე და 31 ქულით მსოფლიოს პირველი მეფორმულე გახდა. ვიცე-ჩემპიონი ბრუქსი 4 ქულით ჩამორჩა.

უფრო თვალსაჩინო იყო ბრებემის უპირატესობა მომდევნო ჩემპიონატში. მან ზედიზედ ხუთი რბოლა მოიგო — ჰოლანდიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ინგლისში, პორტუგალიაში და 43 ქულით, ორი ეტაპით ადრე გაინაღდა მეორე ტიტული. ასევე ვადამდე მოიპოვა „კუპერ-კლიმამ" გუნდური პირველობაც.

კუპერების მანქანით ჯეკმა კიდევ ერთი სეზონი ირბოლა, მერე კი საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. ეგაა, თავიდან საქმე ისე ვერ აეწყო, როგორც ბრებემს და ტორანაკს სურდათ, მათი პირმშო — „ბრებემ BT" ოთხ სეზონში ერთ დიდ პრიზსაც ვერ დაესაკუთრა.

გარღვევა 1966-67 წლებში მოხდა. იმხანად კიდევ ერთხელ შეიცვალა საპირველფორმულო რეგლამენტი და როგორც მოვლენებმა ცხადყო, ბრებემმა ზუსტად „ათიანში" მოარტყა, თავის მანქანებს ისეთი ჯანიანი ძრავა — ავსტრალიური წარმოების „რეპკო" მოარგო, რომელსაც კონკურენტებმა ვერაფერი მოუხერხეს. ჯეკმა ოთხი ეტაპი მოიგო, ერთი პოდიუმიც მიაყოლა და 40-წლიანი იუბილე მესამე ტიტულით „დაასველა".

ცხადად გრძნობდა, რომ საპენსიო ასაკი დაუდგა და წასვლაზე არც უყოყმანია, მაგრამ რაკი მის საჯინიბოში სათანადო დონის მძღოლები არ იყვნენ, ბრებემს კიდევ სამი წელი მოუხდა ჯირითი, მერე კი ბიზნესის თავისი წილი ტორანაკს მიჰყიდა და საბოლოოდ მიაკიდა ლურსმანს ჩაფხუტი.

მამის საქმის გაგრძელება ჯეკის უფროსმა ვაჟმა დევიდმა სცადა, 1994 წელს „სიმტეკ-ფორდის" ბოლიდით იჯირითა, მაგრამ მეტად უხეიროდ — 16 რბოლაში ერთი ქულის შოვნაც ვერ მოახერხა, რის შემდეგაც სარბიელიდან გაუჩინარდა.

ისე კი, ჯეკ ბრებემის ბოლიდებით ჩემპიონის გვირგვინი მოიპოვეს ახალზელანდიელმა დენის ჰალმმა (1967) და ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ (1981, 83), თუმც ეს უკვე სხვა დროს მოსაყოლი ამბავია.

**გია ახალაძე**



ჯეკ ბრემემის 1959 წლის პირველი და ყველაზე „მძიმე" ტიტული



1966 წელს ბრებემმა „ბრებემით" იჩემპიონა



სერ ჯეკი 2004 წელს ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაციისას

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია
## II საკვალიფიკაციო წრე. I ტური

I ჯგუფი

უზბეკეთი 1:1 საუდის არაბეთი
სამხრეთ კორეა 2:0 ქუვეითი

II ჯგუფი

იაპონია 2:1 ჩრდილოეთ კორეა
ბაჰრეინი 0:0 ირანი

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა. V ტური

V ჯგუფი. IV ტური

მაროკო 5:1 კენია

## ამხანაგური მატჩები

ჰონკონგი 1:7 ბრაზილია
გვინეა 2:2 მალი
ალჟირი 3:0 ბურკინა ფასო
ბულგარეთი 0:0 სერბეთი
აზერბაიჯანი 0:0 მოლდოვა
რუმინეთი 2:2 სლოვაკეთი
საამიროები 1:2 შვეიცარია
სლოვენია 0:3 ჩეხეთი
ავსტრია 1:1 ლატვია
კვიპროსი 1:2 ფინეთი
ისრაელი 3:3 ხორვატია
მალტა 0:3 ნორვეგია
სამხრეთ აფრიკა 1:1 ავსტრალია
ეგვიპტე 4:0 ბელგია
კამერუნი 1:0 სენეგალი
პოლონეთი 1:3 ბელარუსი
ირლანდია 1:0 პორტუგალია
ინგლისი 0:0 ჰოლანდია
გერმანია 2:2 არგენტინა
საფრანგეთი 1:1 შვედეთი
იტალია 2:0 რუსეთი
ჩრდ. ირლანდია 0:1 კანადა
უელსი 2:0 უნგრეთი
ვენესუელა — ესტონეთი
*გვიან დამთავრდა*
ჩილე — ეკვადორი
*გვიან დამთავრდა*
კოლუმბია — პარაგვაი
*გვიან დამთავრდა*
თურქეთი — ტუნისი *გადაიდო*

## შოტლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბრეჩინი 4:3 არბროთი

## საბერძნეთი

თასის მერვედფინალი
პირველი მატჩი
კასტორია 2:0 პტოლემაიდა


REUTERS ათენიდან

ანგელოს ბასინასი: მეორე გოლი დანიის კარში

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

I ჯგუფი

მაკედონია 0:0 ანდორა

VII ჯგუფი

ესპანეთი 5:0 სან მარინო

II ჯგუფი

**ალბანეთი 0:2 უკრაინა**

0:1 რუსოლი (40), 0:2 გუსინი (59)

ალბანეთი: სტრაკოშა, დალკუ, დური, ჩანა, ჰაჯი, ჩიპი (ოსმანი 57), ლალა, ალიაი, შკელა, ტარე (ბოგდანი 64), ბუში (მურტაი 76)

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, იეზერსკი, რუსოლი, შელაევი, ო. გუსევი, როტანი (ვორობეი 68), ტიმოშჩუკი, გუსინი, ა. შევჩენკო, ვორონინი (რიკუნი 81)

მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

გაფრთხილება: შელაევი, ვორონინი, ვორობეი

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

22 000 მაყურებელი

**საბერძნეთი 2:1 დანია**

1:0 ზაგორაკისი (25), 2:0 ბასინასი (32პ), 2:1 რომედალი (45)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, დელასი, კაცურანისი, ფისასი, ბასინასი, ზაგორაკისი (კირიაკოსი 46), იანაკოპულოსი, კარაგუნისი (კაფესი 61), ხარისტიასი, ვრიზასი (ამანატიდისი 83)

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

დანია: სორენსენი, პოულსენი, კროლდრუპი, ლუსტუ (პ. ნილსენი 65), მ. იენსენი (პ. მადსენი 70), პრისკე, გრავესენი, დ. იენსენი, კ. პერესი (იორგენსენი 46), რომედალი, ტომასონი

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

გაფრთხილება: ლუსტუ, გრავესენი, კროლდრუპი, კაცურანისი, დელასი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

33 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 14 |
| საბერძნეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| დანია | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 6 |
| თურქეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| ალბანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | 6 |
| საქართველო | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |

მომდევნო ტური
26 მარტი

საქართველო — საბერძნეთი
თურქეთი — ალბანეთი
დანია — ყაზახეთი

# ბლოხინი მიჰქრის
## ბერძნებმა სახელი და სახრავი გაიხსენეს

შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ჯგუფის ფავორიტებად საბერძნეთს, თურქეთს, დანიას და აქა-იქ უკრაინასაც ასახელებდნენ. ახლა ჩავიხედოთ ცხრილში, რომელსაც ოლეგ ბლოხინის გუნდი თოთხმეტი ქულით წაუგებლად ლიდერობს და მდევრებთან სხვაობას ნელ-ნელა ზრდის.

გუშინ ტირანაში უკრაინელებმა ალბანეთიც გადააგორეს. ამაოდ უხაროდათ მასპინძლებს, როცა „ბოლონიასთან" დაშავებული ანდრეი შევჩენკოს ამბავი შეიტყვეს, ორი კვირა ველარ ითამაშებსო. შევჩენკომ ითამაშა, სტრაკოშას კი ვერ გაუტანა, მაგრამ მილანელ ფორვარდს ნაკრებში ბევრი სეხნია ჰყავს, რომლებმაც ბრიგელის შეგირდებს ბლომად თავსატეხი გაუჩინეს. მათგან ორმა, რუსოლმა და გუსინმა თითო ტაიმში თითოჯერ დაამწუხრეს პენსიაზე გასასვლელად გამზადებული ფოტო სტრაკოშა.

გერმანელი მწვრთნელისგან შეფუცხუნებულ ალბანელებს ცდა არ დაუკლიათ, თუმც უკრაინელთა დაცვას გასაღები ვერა და ვერ მოარგეს. მატჩის ბოლოს ერვინ შკელამ საჯარიმო დარტყმით შოვკოვსკის კარის ჩარჩო შეატოკა და მასპინძლებმა ამითღა მოიფხანეს გული.

ათენში ისტორიული ამბავი მოხდა — თეოდოროს ზაგორაკისმა 101-ე სანაკრებო მატჩში პირველი გოლი გაიტანა და დანიასთან ანგარიშიც გახსნა. ევროპის ჩემპიონებმა მალე მეორეც მიაყოლეს, ანგელოს ბასინასმა პენალტით იხეირა, ხოლო ტაიმის მიწურულს დენის რომედალმა ერთის გაქვითვა მოახერხა. მორტენ ოლსენმა შესვენების შემდეგ შეტევის გაძლიერება შეცვლებით სცადა, მაგრამ პეტერ მადსენის, მარტინ იორგენსენისა და პერ ნილსენის თამაშში შეყვანამ დანია შესარჩევ ეტაპზე პირველი მარცხისგან ვერ იხსნა. შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე პიერლუიჯი კოლინამ მორტენ ოლსენი სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევა.

ამ ტურამდე უკრაინის უახლოესი მდევარი დანია იყო, რომელიც ლიდერს ხუთი ქულით ჩამორჩებოდა, ახლა კი, ვიკინგთა მარცხისა და ბერძენთა გამარჯვების შემდეგ, უკრაინელები მეორე ადგილზე ასულ ელინებს ექვსი ქულით უსწრებენ. ეს დიდი ფორა კია, მაგრამ ჯერ მხოლოდ ნახევარი გზაა გავლილი...

ვაჟა ხუციშვილი


REUTERS ბირმინგემიდან

ინგლისი — ჰოლანდია 0:0. დევიდ ბექემი და დირკ კუიტი: თავი თავთან, ბურთი სხვასთან

# შროვიტაიდუკი

ვისაც გურულების ლელობურთი ახსოვს, ის იოლად გაუგებს ეშბურნელ მოსახლეებს: ინგლისის ეს პატარა ქალაქი ორად გაიყოფა ხოლმე და გაახურებს შროვიტაიდულ ფეხბურთს, რომელიც ბარე სამასი წელიწადია, ერთგულად იმართება მდინარე ჰენმორის პირად გაშენებულ ქალაქში. ძველი წესით, ბურთმა მდინარეც უნდა გაიაროს და მის პირად სამჯერ შეეხოს ამ ძველ ალაყაფს: მაშინ თამაში დამთავრებულია და მოგებულიც გარკვეული.



REUTERS ეშბურნი

# გაფიცვა

ტელემუშაკთა გაფიცვამ შეაჩერა სამთო მსოფლიო ჩემპიონატი იტალიურ ბორმიოში. შეჯიბრი ტელერეპორტაჟების შეუძლებლობის გამო შეჩერდა და დღეხლა განახლდება. კაცების გიგანტური სლალომის მონაწილე, შვეიცარიელი დიდიე დეფაგო ღიმილით შეხვდა გაფიცვის ამბავს.




REUTERS ბორმიო

# სიფრთხილე საიტამაში

გუშინ ტოკიოს ჩრდილოეთით, „საიტამას“ სტადიონის მისადგომებთან პოლიციის საგანგებო რაზმები მრავლობდნენ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში იაპონია ბასრ მეტოქეს, ჩრდილოეთ კორეას მასპინძლობდა და სიმშვიდეს დიპლომატიური ფონიც არ უწყობდა ხელს. კომუნისტური კორეის გაგება ყველას უჭირს.




REUTERS საიტამა



REUTERS ვაისვასერი

# კანცლერი მელიებთან

ოდესღაც გდრ-ის ქალაქ ვაისვასერს ჰოკეის ძლიერი გუნდი „დინამო“ ჰყავდა. ახლა ამ გუნდს მელიები ჰქვია და თავი კვლავაც მაღლა უჭირავს. ჰოდა, ვაისვასერს ჩასულმა კანცლერმა შრიოდერმა „მელიების“ ყინულზეც გაასრიალა შაიბა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ლია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარიბაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხოჭოლავა, გაგა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge